ეროვნული
ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 2 ივლისი 2004 №150 (2171) ფასი 50 თეთრი

ზერძნულ ლმერთებს ერთიც შეემატა

ბეკამდე

ოტო რეჰაგელი

ზღაპარი გრძელდება. რაც ბიჭებმა გააკეთეს, ნამდვილი სასწაულია. ტექნიკით ჩეხები გვჯობდნენ, მაგრამ ნებისყოფა და ჟინი ჩვენს მხარეს იყო. ჩემი დავალება ზუსტად შესრულდა, ახლა ზღაპარს ზღაპრული დასასრულიც სჭირდება.

1 ივლისი ნახევარფინალი. პორტუ. დრაგაო

საბერძნეთი 1:0 დ.დ.(0:0) ჩეხეთი

მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია). 42 449 მაყურებელი

1:0 დელასი (105, ვერცხლის გოლი)

1 ნიკოპოლიდისი

19 კაპსისი, 5 დელასი

2 სეიტარიდისი, 14 ფისასი

7 ზაგორაკისი, 21 კაცურანისი, 6 ბასინასი

9 ხარისტიასი, 20 კარაგუნისი

15 ვრიზასი

მწვრთნელი: ოტო რეჰაგელი

შეცვლა

ბასინასი — 8 იანაკოპულოსი (72),
ვრიზასი — 10 ცარტასი (91)

1 ჩეხი

21 უიფალუში, 5 ბოლფი

2 გრიგერა, 6 იანკულოვსკი

4 გალაშეკი

8 პობორსკი, 11 ნედვედი

10 როსიცკი

15 ბაროში, 9 კოლერი

მწვრთნელი: კარელ ბრუკნერი

შეცვლა

ნედვედი — 7 შმიცერი (40)

გაფრთხილება: სეიტარიდისი (23), გალაშეკი (48), შმიცერი (55), ხარისტიასი (70), კარაგუნისი (87), ბაროში (102)

ჯარიმა: 16-27; **კუთხური:** 4-8; **კარისკენ დარტყმა:** 4-9; **კარში დარტყმა:** 6-8; **თამაშგარე:** 4-2



კარელ ბრუკნერი

რაც მოხდა, ჩემთვის პარადოქსია, რადგან სამ წელიწადში, უფრო ზუსტად კი 30 თამაშში კუთხურიდან პირველად გავუშვით. ეს იმას ნიშნავს, რომ ბოლო წამი ყოველთვის სახიფათოა. მეტოქეს ჭკვიანური ტაქტიკით თამაშს ვულოცავ.

არ გაგვაღვიძოთ!

დასაწყისი პორტუგალია — საბერძნეთი დასასრული

პაველ ნედვედის ტრავმა ჩეხთათვის საბედისწერო გამოდგა

REUTERS პორტუდან

ბრავო! აი, რას ნიშნავს კარგი მწვრთნელი და სწორი მუშაობა! დიდი მადლობა გერმანელ სპეციალისტს, ოტო რეჰაგელს, რომელმაც შორეული პორტუდან კიდევ ერთი არგუმენტი გვაჩუქა იმ მოსაზრების სასარგებლოდ, რომ თუ შინ რამე არ გივარგა, გადი და გარედან მოიტანე. არ გივარგა მწვრთნელები? გადი, რა დალოცვილო, მოიყვანე და თაობები დაგლოცავენ. ის მწვრთნელები დაგლოცავენ, რომლებიც დღეს არ ვარგან, მაგრამ იმ უცხოელის შემყურე ისწავლიან. ერთი მაინც ხომ ისწავლის... ორი მაინც ხომ ისწავლის...

აი, სად წაგვიყვანა რეჰაგელმა! არადა, დაგვეთანხმებით, ჩეხეთი ფავორიტი იყო, ბერძნებს კი, რასაც მანამდე მიაღწიეს, თითქოს ისიც უნდა ჰყოფნოდათ. თითქოს მეტი რა უნდოდათ, ჩემპიონატი სენსაციით გახსნეს, პორტუგალიას მოუგეს, შემდეგ ესპანეთთან ითამაშეს ფრე, მეოთხედფინალში თვით ფრანგები გააგდეს. მაგრამ თურმე ჯერ სადა ხარ. თურმე რეჰაგელი რომ ამბობს, გამარჯვებას ვაპირებთ და საამისოდ უმცირესს შანსსაც კი გამოვიყენებთო, არ ხუმრობს. ბერძნებმა მართლა გამოიყენეს თავისი წილი შანსი, ჩეხებმა კი ვერა.

თუმცა სრული სურათის დასახატად აუცილებლად უნდა ვახსენოთ 33-ე წუთი, როდესაც შეტევა ჩეხებმა წამოიწყეს, მარჯვნიდან როსიცკიმ ჩააწოდა, ნედვედმა დარტყმა სცადა, მაგრამ ფეხი ააცილა ბურთს და იმ მოქნეული ფეხით ამხტარ მეტოქეს შეეჯახა. ბურთი კი იანკულოვსკის ჩაუვარდა. იანკულოვსკიმ დაუყოვნებლივ დაარტყა, ოღონდ ვერ გაიტანა — ბერძნების მეკარე ნიკოპოლიდისმა ითამაშა დიდებულად.

ეს ეპიზოდი იმიტომ გამოვყავით, რომ ნედვედმა ფეხი იტკინა. შვიდი (!) წუთის განმავლობაში ცდილობდნენ ჩეხი ექიმები ლიდერისთვის ტკივილის დაამებას, მაგრამ ამაოდ. კარელ ბრუკნერი იძულებული შეიქნა იუვენტუსელი შმიცერით შეეცვალა და, მიუხედავად იმისა, რომ შმიცერი ძალიან კარგი ფეხბურთელია, ძალიან ბევრი წააგო... თამაში წააგო. დიახ, როდესაც ნედვედი მოედანზეა, ცხადია, მის კარგ თამაშს ყველანი ვხედავთ, მაგრამ როდესაც არ არის, ერთი-ორად ჩანს რამხელა ძალა ყოფილა იგი თავისი ქვეყნის ნაკრებისთვის.

თუმცა ისე არ გვინდა გამოგვიდეს, თითქოს ნედვედი რომ ყოფილიყო, ჩეხები აუცილებლად მოიგებდნენ და ჩვენ ამის თქმა დაზუსტებით შეგვიძლია. არა, რა თქმა უნდა, ამას არ ვამბობთ, ვამბობთ მხოლოდ იმას, რომ ნედვედი ჩეხეთის ნაკრებს მეტისმეტად დააკლდა.

მომენტებს თუ დავითვლით, ვფიქრობთ, გუნდები დაახლოებით თანაბარნი გამოვლენ. საერთოდ, მომენტების ჩამოთვლაც რთული საქმეა, იმიტომ, რომ ერთი რომელიღაც ეპიზოდს სახიფათო მომენტად რომ მიიჩნევს, მეორე აუცილებლად ეკამათება, თუმცა ამ ნახევარფინალში თავისი დამატებითი დროით, ალბათ ასეც და ისეც ჩათვლილი მომენტები თანაბრად იყო, მაგრამ არათანაბრად განაწილებული. ძირითად დროში სახიფათო ეპიზოდების რაოდენობით წინ ჩეხები იყვნენ, დამატებითში კი პირწმინდად ბერძნებმა აჯობეს და იმდენჯერ შექმნეს ეს ეგრეთ წოდებული მომენტი, სანამ „რომას“ მცველმა, ტრაიანოს დელასმა ბურთი თავით კარში არ შეაგდო. და კიდევ ერთი, ვფიქრობთ, დამატებით დროში ბერძნების შექმნილი მომენტები ერთმანეთს ჰგავდა, რაც ვინ იცის, ოტო რეჰაგელის მითითების მიზეზითაც იყო.

ბერძნებმა კიდევ ერთი საინტერესო ის გააკეთეს, რომ თვალნათლივ გვაჩვენეს „ვერცხლის წესის“ რაობა— გოლის გაშვების შემდეგ, თეორიულად, ჩეხებს პირველი თხუთმეტი წუთის ამოწურვამდე კი ეძლეოდათ დრო გასათანაბრებლად, მაგრამ რეალურად დელასმა რომ შეაგდო, ტაიმის დასრულებამდე წამებიღა რჩებოდა და დაემთხვა კიდეც ტაიმისა და მატჩის დასასრული ერთმანეთს.

რაც შეეხება მომენტებს, ვფიქრობ, წუხანდელი ნანახის დაწვრილებით აღწერით თავი აღარ უნდა შეგაწყინოთ. იყო ჩეხთა, კერძოდ, როსიცკის „გარტყმული ძელი“ მესამე წუთზევე, იყო სხვა ეპიზოდებიც (როგორც გითხარით, თავიდან უპირატესად ჩეხთა), მაგრამ...

და ბოლოს, ეს ჩემპიონატი რითიც დაიწყო, იმით მთავრდება: პორტუგალია — საბერძნეთი! ჩვენი ბედიც მაგის ცქერა ყოფილა.

მატჩის შემდეგ საბედისწერო გოლის ავტორმა, ტრაიანოს დელასმა განაცხადა: „ის, რაც დღეს გავაკეთეთ, წარმოუდგენელი იყო. ჩვენ ფინალს ვიმსახურებთ, რადგან დავამტკიცეთ, რომ ორგანიზებული, კარგი გუნდი ვართ. ბოლოს კი ღმერთმა მოგვაგებინა. კუთხურის დროს გავიაზრე, რომ დამატებითი დროის 14 წუთი და 36 წამი უკვე გასული იყო და ჩემს თავს ვუთხარი, რომ ვალდებულნი ვიყავით გაგვეტანა. ვიღაცამ მისმინა და გავიტანე კიდეც. მთელი გულით ვუძღვნი მადლობას ბერძენ ქომაგებს. მწამს, ისტორიული რამ გავაკეთეთ“.

სტელიოს იანაკოპულოსი: „ფეხბურთის მშვენებაც ეს არის, დღეს ჩვენთვის დიადი, ჩეხთათვის კი შავი დღეა. ჩვენ სიზმარში ვართ და გაღვიძება არ გვინდა“.

ტრაიანოს დელასის ვერცხლის კი არა, ოქროს გოლი

REUTERS პორტუდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო ახვლედიანი პორტუგალიიდან

ჰოდა, ის გული

მმმანნიიიიშ!

ორ კვირაში ექვსჯერ შევარდნაძის გადადგომასავით ამბავი

რო აღარ დამთავრდა? და მგონი, არც დამთავრდება, სანამ დასამთავრებელი არ არის.

სახალხო დღესასწაული როგორ არ მინახავს, ბოლოს და ბოლოს, 13 მაისს მინახავს, რაც ზღაპრად მოდის და, აბა, ვინ იცის, კიდევ როდის მოხდება ისე. ეს რუსებს რომ მოვუგეთ მალხაზ ასათიანის გოლით, კაი სვლა იყო და კაი ქროლვა და ზეიმი, ესეც მინახავს. მე იქ არა ვყოფილვარ, მაგრამ, შევარდნაძე რო გადადგაო, მაშინაც იყო მანქანებით დიდი ქროლვა და დროშების ფრიალი. ეს ამბავი როგორ არ მინახავს, მაგრამ მთლიანად გადაკეტილი ქვეყანა არ მინახავს და ორ კვირაში ექვსჯერ შევარდნაძის გადადგომასავით ამბავი და იმაზე კიდევ სამჯერ მეტი მაინც არ მინახავს და ვერც ვნახავ ალბათ ვერასდროს.

რა დღესასწაულებს შეუხამა პორტუგალიამ თავისი საფეხბურთო სვლა ფინალისაკენ, ახლა აღარ ჩამოვყვები, მაგრამ თქვენი მონა-მორჩილი ოთხი საფეხბურთო გამარჯვებით შობილ დღესასწაულებსა და ორსაც იმგვარ არასაფეხბურთო ზეიმს შეუერთდა სულ სხვა ადგილას, რომ რა ლაპარაკი უნდა, ასეთს, აბა, სადღა შეესწრება. მსუქანა ბიცოლებს რომ თავზე კიტრით სავსე კალათების მაგივრად „ეშტადიო და ლუზის“ მაკეტები ედგათ და გარმონის ხმაზე ცეკვავდნენ, ასეთს, აბა, სადღა გადაანწყდები.

ლუიშ ფელიპე სკოლარი კი ლაპარაკობს გრძნობამორეული, მაგრამ მის სიტყვებს მხოლოდ მეორე დღეს, ჟურნალებიდან თუ შეიტყობდნენ პორტუგალიელები, რადგან ყველანი ქუჩაში არიან და ტაშისკვრით გაჰყვირიან მთავარ სამხნეო საფეხბურთო მოძახილს: ალ, ალეე, პურტუგააალ, ალეე...

ზეიმი როგორ არ მინახავს და დროის გატარება, როგორც ითვლება, ქეიფისა და დროსტარების ქვეყნიდან ვარ, თბილისს კი ძველად საერთოდაც სიხარულის სახლი რქმევია. ზეიმის მეტი რა მინახავს, იმდენი მინახავს, რომ გამოვპარულვარ კიდეც, მომბეზრებია, ესე იგი. მაგრამ ზეიმი ჩვენ რაღაცა სხვანაირი გვცოდნია. ზეიმი პორტუგალიას სცოდნია. ასე უბრალოდ, ასე გემრიელად, ასე ხმამაღლა და ამდენი სიცილით. ექვსჯერ, ამხანაგებო, ბოლო ორ კვირაში და ერთი იდაყვი არ გაუკრავს ვინმეს სხვისი ჭიქისთვის, რომ გადაეგდო მაგიდიდან, დაექცია და მერე ქალაქური გაწევ-გამოწევაც ამტყდარიყო. არა, სენიორ, აბა, რა სალაპარაკოა.

პორტუგალიელები არ ყვირიან, ჰოლანდია დავამარცხეთო, ან ინგლისი და ესპანეთი დავამარცხეთო. ესენი ყვირიან, ჩვენ გავიმარჯვეთო.

ასე კოხტად, ამდენი სიგნალით, ასეთი ღრიანცელით. ქვეყანაზე არ არსებობს მეორე ასეთი ღრიანცელი, რომ კაცს ტკბილად ჩაესმოდეს. გადაკეტილი ქვეყანაც, აკი მოგახსენეთ, არ მინახავს.

ცხადია, ვიღაცა ავად არის ამ დროს, ვიღაცა კვდება და თითქოს პორტუგალია ამასაც ითვალისწინებს, რადგან გულით კი ზეიმობს, მთელი არსებით კი იცინის და ცეკვავს, მაგრამ ამ ზეიმობაში თავზე ხელს არ აიღებს, რაღაცა უცნაურ და უხილავ საზღვარს არ დაივიწყებს. დამარცხებულს არ დასცინებს და არ დაამცირებს, ხელს მოხვევს, გაამხნევებს და ცდილობს, ისიც აացეკვოს. ალბათ ამიტომაც უყვართ წაგებულებს პორტუგალია. ამდენი უცხოელი ქომაგი, მგონი, არც ერთ მასპინძელს არ ჰყოლია.

ეს არის ძველი და კავშირული ევროპის ყველაზე ხელმოკლე ქვეყანა, რომელსაც მდიდარი ევროპელი ძმები ეხმარებიან და ერთგულებენ. ყველას სურს, პორტუგალია საბოლოოდ გაუსწორდეს მათ, ვინც წინ მიდიოდა მაშინ, როცა პორტუგალია სულელურად ტკეპნიდა ადგილს ერთი უცნაური დიქტატორის ხელში, რომელიც, სხვათა შორის, დიქტატორთა შორის უკეთილესი იყო და ამითაც პორტუგალიურ კეთილგანწყობასა და სითბოზე მიანიშნებდა ხალხს.

იმ ბებერი დიქტატორის შემდეგ ბარე ორმოცი წელი გავიდა, მაგრამ კვალი, ოჰ, რა ძლიერია. ოლონდაც პორტუგალია შენდება და წინ მიდის. ეს ზეიმი კი, ეს ევროპის ჩემპიონატი დიდი რამ იყო მისთვის. ასეთი ეროვნული ზეიმი, ასეთი ენერგია და სულ კარგი და კარგი ასეთ მოკლე დროში, მშვენებარე, თუმცაღა ძალიან ძველ და თავისებურად დიად, არათავისებურად კი სრულიად განუმეორებელ, ჯადოსნურ და გულიან ქვეყანას არა ჰქონია. და, აი, აქვს.

ალბათ ამიტომაც ამბობს თვალსა და ხელს შუა გმირად ქცეული სკოლარი, რასაც ახლა ვაკეთებ, სადამდეც ახლა მივედი, ბევრად მნიშვნელოვანია ჩემთვის, ვიდრე ბრაზილიის მსოფლიოს ჩემპიონობა, რადგან ბრაზილია ჩემამდე ოთხჯერ იყო ჩემპიონი, პორტუგალია კი პირველადაა ფინალშიო.

პორტუგალია კი ზეიმობს. უბრალოდ, მე ნამდვილად არ მიმაჩნია საჭიროდ, კვირაში ორჯერ ერთსა და იმავე ამბავზე ვწერო, მით უმეტეს, როცა გრძნობ, რომ სამი დღის შემდეგ ამ ქალაქში, ამ მოედნებზე, ამ ტრასებზე, იგივე და ორჯერ მეტი დატრიალდება. არა მარტო აქ, ევროპაში, არამედ ეგრეთ წოდებულ ზღვის პროვინციებშიც: მადეირაზე, კაბო ვერდეზე, გვინეა ბისაუში, აწ თავისუფალ მოზამბიკასა და ანგოლაში, პორტუგალიური ფეხბურთის ამ ორ, მოულოდნელ და ევროპისთვის ყველაზე ადრიან სამჭედლოში.

ეს ამბავი ხდება და სელესაოც თამაშობს. თამაშობს და, მგონი, მადა ჭამაში მოსდის, უკვე მეტი შეუძლია, ვიდრე ორი კვირის წინათ შეეძლო. უკვე მეგობრობენ აქამდე უბრად მყოფი ფიგუ და დეკო, რომელთაგან პირველი მეორეს აკრიტიკებდა, ბრაზილიელი რად გვინდა; განა ჩვენებურები არ გვეყოფაო... უკვე ნუნუ გომეში აღარ ბრაზობს, რომ სამი თამაში პაულეტას შემცვლელად გაატარა, თუმცა ამ უკანასკნელს ეგრეც ვერ გააქვს გოლი, ნუნუმ კი სულ გადამწყვეტები მოახერხა. უკვე აღარავინ ამბობს, რომ კრისტიანო რონალდო მოფინტავე ბავშვია, ხოლო პორტუგალიელებმა დაცვაში თამაში არ იციან; და აღარავის ახსოვს, ვინ „ბენფიკაშია“, ვინ „სპორტინგში“, ვინ კი მათ დამცინავ „პორტუში“. ეს ხომ სელესაოა და სელესაო ასგზის რთული, დიადი და დაუვიწყარი რამეა, ვიდრე თუნდაც ჩემპიონთა ლიგის მოგება. ალბათ, ამის გამო თუ ამბობს სკოლარი: არიან ვილაცეები, ვინც კომფორტულად იგებს. თუ ჩვენი ნაკლი ის არის, რომ ყველა თამაშს ბრძოლაში, ტანჯვითა და ოფლის ღვრით ვიგებთ, მე მივესალმები ამ ნაკლს იმიტომ, რომ ფეხბურთიც ასეა. ჩვენ დიდი ტანჯვით უნდა მოვიპოვოთ შვება.

და ამიტომაც, ასე უწყვეტად ღრიალებს რადიო:

მმმაანნიიიიშ!.. მმმმაანნიიიიიშ!.. გუუუუუუუულლ მმმააანნიიიიიშ...

და მართლა, რა დააჯახა, არა?! ვან დერ სარი რომ გაუბრაზდა მცველებს, რატომ დაარტყმევინეთო...

კვირა საღამომდე მოლოდინის დღეები დგას. რაც არ უნდა იყოს, არავინ იტყვის საყვედურს. ასე ეტყობა. მადლობას კი, რადგან პორტუგალია მეორე ტურიდანვე ფინალებს თამაშობს.

თქვენ კი ამას მიმიქციეთ ყურადღება: რომელი ჩემპიონატის ემბლემაზე ყოფილა გამოხატული გული? არ გახსენდებათ, რასაკვირველია. აქ კი, გული და ზედ ბურთი. ჰოდა, ის გული პორტუგალიაა. მეტი არაფერი.

და კიდევ, ჩვენ საწყლები, ზეიმისა და სიხარულის გარეშე. სულ მოლოდინით.



ევრო 2004-ის ნახევარფინალში დამარცხებულმა ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელმა, დიკ ადვოკაატმა განაცხადა, რომ მის ბედს ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაცია რამდენიმე დღეში გაარკვევს.

De Telegraaf

ORANJE WAT JAMMER!

Kansloze missie tegen Portugal: 2-1

ტვირთი უნდა დაიცალოს

რა დაინახეს ჰოლანდიელებმა სტამის გამოფიტულ თვალებში



რუუდ ვან ნისტელროის მსაჯზე ლაპარაკი შეიძლება ძვირად დაუჯდეს

„მომავალ კვირას ჩემს საკითხს განიხილავენ, მაგრამ მე უკვე ვიცი, რასაც გავაკეთებ — თქვა მწვრთნელმა და კრიტიკოსების გასაგონად დასძინა — ჩემი გუნდი ძალიან დისციპლინირებულია, რადგან მის გარშემო ატეხილი აურზაურის შემდეგ ნახევარფინალში გასვლა თითქმის წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. დასანანია, რომ წავაგეთ, თუმც მომხდარს რეალურად თუ შევაფასებთ, პორტუგალიამ გამარჯვება დაიმსახურა. მასპინძლებს უკეთესი ფეხბურთელები ჰყავთ, ჩვენ კი თამაში ვერ ავაწყვეთ. მეორე ტაიმში გავრისკეთ და ორი ფორვარდითაც არაფერი გამოგვივიდა, ხოლო დაცვაში ბევრი პრობლემები გვქონდა. საბოლოოდ მაინც კმაყოფილი ვარ, რადგან მიზნად ნახევარფინალში გასვლა დავისახეთ და ეს შევასრულეთ“.

დიკ ადვოკაატმა ანდერს ფრისკსაც გაჰკრა კბილი: „სადავო ვითარებაში მსაჯი აშკარად მასპინძლებს ემხრობოდა“. მწვრთნელს დიდი იოჰან კრუიფიც დაეთანხმა: „ფრისკი პორტუგალიელებს მცირედით, მაგრამ წაეხმარა. მაგალითად, არიენ რობენს მეტოქესთან ნებისმიერი შეხებისას აჯარიმებდა და მას თამაში ამიტომ არ გამოუვიდა“.

რუუდ ვან ნისტელროიც მსაჯობით უკმაყოფილო დარჩა. „ფრისკი სულ პორტუგალიელების სასარგებლოდ უსტვენდა, ჩვენ კი ამის წინააღმდეგ უძლურნი ვიყავით. ყველაფერი გავიღეთ ფინალში გასასვლელად, მაგრამ მასპინძლები უკეთ გამოიყურებოდნენ და მეტი საგოლე მომენტიც შექმნეს“.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ფორვარდს ანტიფრისკული გამონათქვამისთვის უეფამ, შესაძლოა, ფულადი ჯარიმა გამოუწეროს, ოღონდ გაუგებარია, რატომ მხოლოდ ვან ნისტელროის და არა მწვრთნელსაც.

ჰოლანდიურმა მედიამ ნაკრების გამოსვლა შეაფასა, როგორც ერთი თაობის დასასრული.

„ოცნება საპნის ბუშტივით გასკდა. ეს ნარინჯისფერი თაღლითობა იყო“ — წერს გაზეთი „დე ტელეგრაფი“. ამავე გაზეთის აზრით, ამ ჩემპიონატზე ფრანკ დე ბურის, ფილიპ კოკუს, იაპ სტამის და მარკ ოვერმარსის სანაკრებო კარიერა დამთავრდა.

„მათი მზე ჩაესვენა. პორტუგალიიდან გაძევებულ ჰოლანდიას ძირეული ცვლილებები სჭირდება“ — ესეც „დე ტელეგრაფია“.

„ალგემეენ დაგბლადმა“ პირველ გვერდზე იაპ სტამის ფოტო გამოჭიმა წარწერით: „ტვირთი უნდა დაიცალოს“. ამავე გაზეთში ეწერა: „თაობამ მუქთად ითამაშა — მათ ვერაფერი მოიგეს. სტამის გამოფიტულ თვალებში ჩანდა — მან საკუთარი თავი ამოწურა. მარცხი ძალიან მწარე გამოდგა. ეს მხოლოდ ევრო 2004-ის დასრულებას კი არა, ბევრი ფეხბურთელის და ალბათ დიკ ადვოკაატის წასვლას ნიშნავს“.

ჰოლანდიელმა კომენტატორებმა კიდევ დასცინეს ადვოკაატს, რომელმაც ნამატჩევს ნაკრების მწვრთნელობაზე უარი კი არ თქვა, არამედ განაცხადა, ჩემს მომავალს ქვეყნის ფეხბურთის ასოციაცია გადაწყვეტსო.

„დიკის შემცვლელს დიდი უპირატესობა ექნება, რადგან მას ახალგაზრდა, ნიჭიერ თაობასთან მუშაობა მოუწევს, რომლებმაც ამ ჩემპიონატზე სათადარიგოთა სკამი ხეხეს“ — წერს „დე ვოლკსკრანტი“.

ჟურნალისტთა აზრით, ახალი მწვრთნელი შინ თუ ვერ მოძებნეს, უცხოელს არ იუკადრისებენ. ზოგმა დანიელი მორტენ ოლსენიც კი ახსენა.

„ნახევარფინალში გასვლამ, ოთხ მატჩში ერთმა მოგებამ, ორმა ფრემ და ერთმა წაგებამ ნაკრების ნამდვილი სახე მიჩქმალა. მწვრთნელი, რომელიც სულელურ შეცვლებს აკეთებს, განწირულია. ნახევარფინალიდან გამოვარდნამ არ უნდა დაგვბრმავოს, რადგან პრობლემების სათავე სხვაგაა“ — „დე ტელეგრაფი“.

ამსტერდამში ჰოლანდიის გულშემატკივრებმა აღიარეს, რომ პორტუგალიას გამარჯვება ეკუთვნოდა. „მათ აშკარად გვაჯობეს და ფინალში თამაში დაიმსახურეს“ — განაცხადა 24 წლის სტუდენტმა რონალდ ვან დერ ჰოფდმა, რომელმაც წაგების შემდეგ ეროვნული დროშა დაუშვა.

„ეს იყო დასანანი, მაგრამ დროული მარცხი. სანახავად კარგი თამაში გამოდგა, განსაკუთრებით კი მეორე ტაიმში. ვფიქრობ, რომ ფინალში ჩეხები გავლენ და მოიგებენ“ — ივარაუდა აეროპორტის 29 წლის თანამშრომელმა კენეტ ვან გორტუნმა.

ტესელ ჰალკენბერგი, ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის სტუდენტი: „ორივე გუნდმა ჯიგრიანად ითამაშა. ჰოლანდიამ ყველაფერი გაიღო, მაგრამ ალბათ არავის მოუბრუნდება ენა იმის სათქმელად, რომ პორტუგალიამ გამარჯვება არ დაიმსახურა“.

მომავალი ეკონომისტი, 23 წლის პეტერ ვერვაკენი: „ფრანკ დე ბურის და მისი თაობის ეპოქა დასრულდა. მათ სანაკრებო კარიერა უნდა შეწყვიტონ. ახლა არიენ რობენის დროა, რომელსაც გამოცდილება აკლია, მაგრამ ეს ყველაფერი დროთა განმავლობაში მოვა“.

რამდენიმე ჰოლანდიელმა შესაძლოა, უარი თქვას ნაკრებზე, მაგრამ 34 წლის პიერ ვან ჰოიდონკი წასვლას არ ჩქარობს: „ეროვნულ გუნდში თამაში მე კვლავაც მსურს. შესაძლოა, ახალმა მწვრთნელმა ბევრი რამ შეცვალოს, თუმც მე ვფიქრობ, რომ ჰოლანდიას კიდევ გამოვადგები“.

ვაჟა ხუციშვილი

უმიზნო მარკოვი

ბულგარეთის ნაკრებმა ევრო 2004-ზე სამივე შეხვედრა წააგო (შვედეთთან 0:5, დანიასთან 0:2, იტალიასთან 1:2), მის მწვრთნელს, პლამენ მარკოვს კი მაინც იქით მოუწია კონტრაქტის გახანგრძლივებაზე უარის თქმა.

„მე თანამდებობიდან არ გადავმდგარვარ, უბრალოდ, გუშინ კონტრაქტის ვადა ამომეწურა და ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, ივან სლავკოვს ვუთხარი, რომ ნაკრებთან ხელშეკრულების გახანგრძლივებას არ ვაპირებ — განაცხადა მარკოვმა პრესკონფერენციაზე — მართალია, ნაკრების თავკაცობა ძალიან პრესტიჟულია და მასზე უარის თქმა უძნელესი საქმეა, მაგრამ მე კერძო მიზეზები მაქვს, რომელთა საჯაროდ განხილვას არ ვაპირებ“.

მეორე მხრივ, მარკოვმა დასძინა, რომ ზემოხსენებულმა სამმა მარცხმა ასევე ითამაშა თავისი როლი გადაწყვეტილებაში, რომელიმე კლუბიდან კი კარგი წინადადება არ მიუღია და ეს არაფერ შუაშია.

პლამენ მარკოვს ფეხბურთელობისას ბულგარეთის ჩემპიონატში 235 მატჩი აქვს ნათამაშები, შემდეგ კი ფრანგულ გუნდებში, „გრენობლსა“ და „მეცში“ სცადა ძალა.

რაც შეეხება ბულგარულ მედიას, იგი, ცხადია, აკრიტიკებდა მწვრთნელის მიერ ფეხბურთელების შერჩევის პრინციპს და ტაქტიკას. ამაზე მარკოვმა უპასუხა, რომ თავის მართლებას არ აპირებს, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყნის საფეხბურთო კავშირმა შესარჩევი შეჯიბრებიდან გასვლის მეტი მიზანი არ დაუსახა და მხოლოდ ღირსეულად თამაში სთხოვა.

კავშირის პრეს-მდივანმა, ათანას კარაივანოვმა თავის მხრივ განაცხადა, რომ მარკოვის გადაწყვეტილებამ პრეზიდენტი სლავკოვი გააოცა.

„ბულგარეთის საფეხბურთო კავშირში მარკოვის გადადგომაზე არავინ ფიქრობდა და ამიტომაც ვეჭვობ, მისი შემცვლელი უახლოეს დღეებში მოინახოს“ — თქვა მან.

46 წლის მარკოვმა მწვრთნელობა ფრანგულ „გრენობლიში“ დაიწყო, ხოლო ბულგარეთში 1995 წელს დაბრუნდა, სადაც სოფიის ცსკა-ს ჩაუდგა სათავეში. ცსკა ის გუნდია, რომლის შემადგენლობაშიც თავად ითამაშა 10 წელიწადი და ზუთჯერ გახდა ბულგარეთის ჩემპიონი.

პაპუნა კედია



ცხრიდან ცხრამ არაგონესი არჩია

ესპანეთის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს, ლუის არაგონესი. ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის საგანგებო ცხრაკაციანმა კომიტეტმა „რეალ მოლიორკას“ ვეტერანი თავკაცი გუშინ არჩია თანამდებობის მსურველ სხვა სპეციალისტებს.

„მსურს დავადასტურო, რომ ჩვენ ესპანეთის ნაკრების ახალ მწვრთნელად ლუის არაგონესის დანიშვნა გადავწყვიტეთ — განაცხადა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანხელ მარია ვილიარმა მადრიდში გამართულ პრესკონფერენციაზე — იგი გუნდს დაახლოებით ორი მომდევნო წლის განმავლობაში გაუძღვება და 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიყვანს“.

აღსანიშნავია, რომ ლუის არაგონესი თავადაც ძლიერ იყო მოწადინებული ამ თანამდებობაზე მისვლით, მის გარდა ყველაზე აქტიურად ბენიტო ფლოროს კანდიდატურა განიხილებოდა.

პაპუნა კედია

ფაბიენ ბარტეზმა და ბიქსენტ ლიზარაზუმ ზინედინ ზიდანის აუგად მოხსენიება იუკადრისეს

მამლის ყივილი

ზინედინ ზიდანი ძველმა ბიჭებმა გაამართლეს

ევრო 2004-ის მეოთხედფინალიდან ბერძნების მიერ სამშობლოში ნაადრევად გასტუმრებულ საფრანგეთის ეროვნულ გუნდში კვლავ დიდი არეულობაა. ოდესღაც ერთ მუშტად შეკრული „მამლები" ერთმანეთს დაერივნენ. გუშინდელ „სარბიელშიც" გაუწყეთ, რომ სამ არსენალელს (ტიერი ანრის, რობერ პირესსა და პატრიკ ვიერას) ზინედინ ზიდანის სალიდერო ღირსებებში ეჭვი ეპარება და „რეალის" ვარსკვლავის საფრანგეთის ნაკრებიდან დათხოვნა სურს.

დღეს კი ცნობილი ხდება, რომ სანაკრებო დავიდარაბაში ფრანგთა განთქმული მეკარე ფაბიენ ბარტეზიც ჩაება. იგი ზიდანისა და მისი მეგობრების გუნდიდან წასვლის შემთხვევაში თავადაც ნაკრების მიტოვებას აპირებს.

„მოვიდა დრო, როდესაც სერიოზულად უნდა ვიფიქრო ჩემი ქვეყნის მთავარ გუნდში დარჩენა-არდარჩენაზე. ახლა საფრანგეთის ნაკრებში არეული ვითარებაა, თავისი ბედი კიდევ რამდენიმე ფეხბურთელმა უნდა გადაწყვიტოს და თუ ჩემი შეკითხვები საჭიროდ აღარ ჩაითვლიან თამაშის გაგრძელებას, მეც მათ მაგალითს მივბაძავ. ჩვენ ერთი თაობა ვართ, ყველა დაბრკოლება ერთად გადავლახეთ. ევროპისა და მსოფლიოს თასები ერთად მოვიგეთ და, სხვათა შორის, საფეხბურთო თვალსაზრისითაც თანაბარ დონეზე ვიმყოფებით. ზიდანთან ერთად ფაბიენ ბარტეზიც წავა და ნაკრებში ადგილს ახალგაზრდა მობურთალებს დავუთმობთ" — განუცხადა LEQUIPE-ს ბარტეზმა.

ზიდანისა და ბარტეზის გარდა, სავარაუდოდ, „ლურჯებს" სხვა გამოცდილი ფეხბურთელებიც დატოვებენ — სანაკრებო კარიერის დასასრულისთვის ბიქსენტ ლიზარაზუ, მარსელ დესაი და კლოდ მაკელელე ემზადებიან. თუმცა ფრანგული სპორტული მედიის აზრით, მათი გაბზარული გვარდიის შეკოწიწება კიდევ მოხერხდება, ოღონდ ეს ყველაფერი იმ მწვრთნელის მარიფათზე იქნება დამოკიდებული, ვისაც ფეხბურთის ფედერაცია ჟაკ სანტინის ადგილს ანდობს. „ძნელი საქმეა, მაგრამ ამ გუნდით გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატამდე მისაღწევად კიდევ გვრჩება მცირეოდენი შანსი" — იმედიანად წერს გუშინდელი LEQUIPE.

ლადო ხომერიკი

ძალიან მძიმეა

ჰიცფელდმა გერმანია არ აიკიდა

გუშინ დილით ოტმარ ჰიცფელდმა გერმანიის ნაკრების მწვრთნელობაზე უარი თქვა. გუშინწინ საღამოს გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტი გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი კავშირის წევრებს არწმუნებდა, „ბაიერნის" ყოფილ თავკაცთან კარგი ურთიერთობა მაქვს და აუცილებლად დაგვთანხმდებაო. უფრო ადრე კი, ჰიცფელდმა პრეზიდენტს ათი დღე სთხოვა მოსაფიქრებლად და ისიც უთხრა, ცოლს დავეკითხებიო.

გადაწყვეტილების მისაღებად ათი დღე არ დასჭირდა, რადგან ოტმარ ჰიცფელდი ფიქრმა დატანჯა და გუშინ თავად აუწყა ფორფელდერს, ნაკრების თავკაცობას ვერ შევძლებო.

ჩაერია თუ არა ქალი ამ საქმეში? „კიკერის" ცნობით, „ბაიერნის" მწვრთნელყოფილმა ასე ილაპარაკა: „ვიფიქრე და, როცა გავაცნობიერე, ცოტა შემეშინდა კიდეც. წარმოვიდგინე, რომ 2006 წელს მსოფლიოს ჩემპიონატზე ბუნდესნაკრებს უნდა ვუთავკაცო და ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა მეკისრება. ათი დღე კი არა, ორჯერ მეტიც არ ეყოფა, ყველაფერი რომ გაიაზრო. გერჰარდ მაიერ-ფორფელდერთან დიდხანს ვისაუბრე. მასთან, ფაქტობრივად, პრობლემები არ მაქვს, მაგრამ..."

გერჰარდ მაიერ-ფორფელდერი: „ძალიან კარგად მესმის ოტმარ ჰიცფელდის მდგომარეობა. გასაგებია, რომ ერთბაშად თავს ასეთი დიდი ტვირთი დააწვა და თან მოკლე დროში უნდა გაეცა პასუხი, მაგრამ მეც არანაკლებ ცუდ ვითარებაში აღმოვჩნდი — უახლოეს დღეებში ნაკრებს ახალი მწვრთნელი უნდა ჰყავდეს. 18 აგვისტოს ავსტრიასთან ამხანაგური მატჩი გველის. იქამდე მხოლოდ შვიდი კვირა დარჩა, ჩვენ კი გუნდის მომზადება გვსურს. ჰიცფელდმა იუარა და ახლა სხვისი მოძებნა მოგვიწევს, რომელსაც დავარწმუნებთ, რომ მთელი ქვეყანა გვერდით დაუდგება".

„ბილდის" თქმით, ამჟამინდელი ვითარება გერმანული ფეხბურთისთვის ნოკაუტის ტოლფასია, რადგან „ბაიერნის" ყოფილი თავკაცი უკონკურენტო კანდიდატი იყო.

რატომ თქვა უარი ჰიცფელდმა? ფულისა თუ ცოლის გამო, რომელსაც ნაკრების მწვრთნელობაზე აზრს დაეკითხა?

„ბილდი" უარყოფს, რომ ეს ფულის გამო მოხდა, რადგან რუდი ფიოლერს წელიწადში 4 მილიონ 500 ათასი ევროს უხდიდნენ, ჰიცფელდს კი უფრო მეტი შესთავაზეს.

ცოლი? აი, რას ამბობს ბეატრისი: „ოტმარი რამდენიმე დღის განმავლობაში სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იმდენად მძიმე იყო მისთვის ნაკრების მწვრთნელობაზე ფიქრი, რომ კაცი უცბად შეიცვალა. მან ხომ „ბაიერნში" ექვსი რთული წელი გაატარა და ფეხბურთისგან დასვენება სურს".

იმავე „ბილდმა" ოტმარ ჰიცფელდის შარშანდელი ნათქვამი გაიხსენა: „ეს ტურნირი მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად უნდა გამოვიყენოთ" — მაშინ ეს განცხადება შეაფასეს როგორც მინიშნება, ანუ „ბაიერნის" მწვრთნელყოფილმა საფეხბურთო კავშირს ნაკრების მწვრთნელად საკუთარი კანდიდატურა შესთავაზაო. ახლა კი გერმანული მედია ასე ბჭობს, ოტმარ ჰიცფელდს ევროჩემპიონატამდე სურდა ნაკრების ჩაბარება და 2006-თვის მისი მომზადება.

ახლა კი ვითარება აწეწილია. გუნდი პორტუგალიაში „ჩავარდა" და ნაბიჯი წინ არ გადადგმულა. ბეატრისის მეუღლეს ყველაფრის თავიდან დაწყება მოუწევს და საამისოდ მხოლოდ ორი წელი აქვს. მოკლედ, ოტმარ ჰიცფელდმა ტვირთი ვერ აიკიდა და ჯერ კიდევ საკითხავია, როგორ შეაფასებენ ამ ფაქტს გერმანიაში.

ვინ იქნება ბუნდესნაკრების ახალი მწვრთნელი? კრისტოფ დაუმი თუ ოტო რეჰაგელი? დაუმს ჯერ კიდევ 2000 წელს უნდა ჩაებარებინა ბუნდესნაკრები, მაგრამ კოკაინის მყნოსავს უარი უთხრეს. ამასობაში მან ავსტრიაში „აუსტრია", შარშან კი თურქეთში „ფენერბაჰჩე" აჩემპიონა.

„ბილდი" დაუმს სტამბოლში დაუკავშირდა და ასეთი პასუხი მიიღო: „გერმანიის საფეხბურთო კავშირიდან ჩემთვის არავის მოუმართავს. აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ, მაგრამ თუ შემომთავაზებენ ნაკრების გაწვრთნას, დიალოგზე აუცილებლად დავთანხმდები".

დაუმის გარდა ლოთარ მათეუსის, ოტო რეჰაგელისა და იუპ ჰაინკესის კანდიდატურებსაც განიხილავენ. მათეუსი უნგრეთის ეროვნულ გუნდს თავკაცობს, რეჰაგელის გმირობის ამბავი მსოფლიოს მოედო, ჰაინკესი კი გელზენკირხენის „შალკეს" წვრთნის.

მაჟა ხუციშვილი



კრისტოფერ დაუმი



ოტო რეჰაგელი



ლოთარ მათეუსი

ლორენსო სანსი ფლორენტინო პერესის სავარძელს უმიზნებს

მაისურების ბიზნესი

პერესმა ბექემი ფულისთვის იყიდა

სანსის რეალში დაბრუნება ბევრის წასვლას ნიშნავს

დევიდ ბექემი მუდმივი და საინტერესო თემაა... აი, მაგალითად, რას ამბობს ინგლისის ნაკრების კაპიტნის შესახებ გერმანული ფეხბურთის ლეგენდა, მიუნხენის „ბაიერნის“ პრეზიდენტი ფრანც ბეკენბაუერი:

„ნუ გამორიცხავთ, რომ ბექემს დიდი ტურნირების დროს მენტალური პრობლემა უჩნდებოდეს. გაიხსენეთ, 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე იგი მოედნიდან გააძევეს, ახლა კი საფრანგეთსა და პორტუგალიასთან შეხვედრებში პენალტები ააცილა, ისე ჩანს, რომ საქმე ნერვებთან უნდა გვქონდეს“.

29 წლის ბექემი, მოგეხსენებათ, მადრიდის „რეალში“ თამაშობს და თითქოს იქიდან არსად აპირებს წასვლას, მაგრამ ალბათ, მაინც ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვინ გახდება „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტი — 11 ივლისს არჩევნებია, სადაც ფლორენტინო პერესის გარდა წინა პრეზიდენტი, ლორენსო სანსიც იყრის კენჭს და ღრმად სწამს, რომ ბექემზე ყურადღების გამახვილება პერესის დიდი შეცდომა იყო.

სანსმა თქვა: „ბექემის ყიდვა იმის დასტური გახლდათ, რომ პერესს სპორტულ სინამდვილეზე მეტად კომერციულ-მარკეტინგული მხარე აინტერესებს. ბექემი არ უყიდიათ იმის გათვალისწინებით, თუ რისი მიცემა შეეძლო გუნდისთვის. „მანჩესტერ იუნაიტედში“ ის მარჯვენა ნახევარმცველი იყო, დღემდე ამ პოზიციაზეა ინგლისის ნაკრებშიც, ხოლო „რეალში“ მისი ადგილი უბრალოდ არ არის. მთელი გასული სეზონის განმავლობაში ის უფუნქციოდ იყო, რადგან აქ მარჯვენა ნახევარმცველის როლს ლუიშ ფიგუ ასრულებს. ბექემის შეძენა და კლოდ მაკელელეს „ჩელსისთვის“ დათმობა სიგიჟე რომ იყო, აშკარაზე აშკარაა“.

შეგახსენებთ, რომ „რეალმა“ ბექემის სანაცვლოდ გასულ სეზონში 25 მილიონი ინგლისური გირვანქა გადაუხადა „მანჩესტერ იუნაიტედს“, მაგრამ სეზონში ერთი ჯილდოც არ მოუგია. სამაგიეროდ, ერთი წლის წინ ინგლისის ნაკრების კაპიტანს გრძელი, ორკუდად შეკრული თმა და დიდი კომერციული ეფექტი ჰქონდა — ფლორენტინო პერესმა მაისურების სარეკორდო რაოდენობა გაჰყიდა, მარტო პირველ დღეს „რეალის“ მაღაზიებმა 8 ათასი 23-ნომრიანი მაისურა გაასაღეს.

შემდეგ რა მოხდა? შემდეგ ფეხბურთელმა ნელ-ნელა დაკარგა ფორმა და საბოლოოდ სეზონი მხოლოდ 6 გატანილი გოლით დაასრულა — პლუს „სანტიაგო ბერნაბეუს“ ერთხელაც ვერ აჩვენა თავისი საფირმო სავარიმო.

დღეს, როგორც ცნობილია, მადრიდის „რეალს“ ახალი მწვრთნელი ჰყავს, ანტონიო კამაჩო, რომელმაც უკვე გასაგებად თქვა, რომ ბექემის ინგლისში გაუთავებელ გადაფრენებს ვერ შეეგუება და არ დაუშვებს.

მოკლედ და გასაგებად: თუ „რეალის“ პრეზიდენტად ლორენსო სანსს აირჩევენ, დევიდ ბექემის მადრიდულ მომავალს პერსპექტივა დაებინდება. შეგახსენებთ, რომ უკვე რამდენჯერმე ხსენებული სანსი „სამეფო კლუბს“ 1995-2000 წლებში პრეზიდენტობდა და ძალიან დიდ წარმატებებს მიაღწევინა.

სანსისა და პერესის გარდა პრეზიდენტობაზე კენჭს იყრის არტურო ბალდასანოც, რომელიც ცნობილი ესპანური კორპორაციის, „ტეკას“ ვიცე-პრეზიდენტია. საინტერესოა, რომ როგორც სანსი, ასევე ბალდასანო, ფლორენტინო პერესს ბრალად ცუდ მეურნეობასა და ფინანსისტობას სდებენ. ისინი ამბობენ, რომ კლუბის მატერიალური მდგომარეობის ჭეშმარიტი სურათი პერესს დამალული აქვს.

სანსი ამბობს: „ხალხი ფიქრობს, რომ „რეალი“ მსოფლიოს უმდიდრესი კლუბია, მაგრამ ეს ტყუილია. ჩვენ „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „იუვენტუსი“ გვისწრებენ. დღევანდელი „რეალი“ ძალიან დაუბალანსებელი კლუბია, რომელსაც დიდი ვარსკვლავები ჰყავს და მათ ძნელად გადასახდელ, ვეებერთელა ხელფასებს უხდის“.

ბუნებრივია, ყოველივე ამასთან დაკავშირებით თავისი პოზიცია აქვს თავად *პერესს*.

„მიჯობს მომავლისკენ ვიცქირო, ვიდრე წარსულს ჩავაკვირდე — ამბობს იგი — თუმცა ჩემთვის ცხადზე უცხადესია, რომ „რეალის“ პრობლემები ლორენსო სანსის მაშინდელი ცუდი მენეჯმენტის შედეგია“.

დღეს პერესი „სანტიაგო ბერნაბეუს“ გადახურვას აპირებს და „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ რუუდ ვან ნისტელროის გამორთმევაც აქვს გულში ამოჭრილი, ოღონდ ხმამაღლა ამ ბოლო ამბავს უარყოფს.

„ჩვენ ახალი თავდამსხმელის ყიდვა არ გვსურს, ვინაიდან მწვრთნელი სრულიად კმაყოფილია იმ ფეხბურთელებით, რომლებიც გვყავს. გვიჯობს დაცვა და ნახევარდაცვა გავაუმჯობესოთ“ — დასძენს ბოლო პრეზიდენტი.

ყველაფერთან ერთად აღსანიშნავია, რომ ევრო 2004-ზე ბექემის უფერულმა თამაშმა შესაძლოა, მის ახლებურ მაისურებს ფასი და გასავალი დაუგდოს. აი, რას ამბობს ადრიანო გომეში, „რეალის“ გასაღების სამსახურის მოხელე:

„ადრე ყველაზე პოპულარული ბექემის მაისურა იყო. ჩვენი საფირმო მაღაზია ქალაქის ცენტრშია, აქ კი უამრავი ტურისტი დადის და მაისურებს ყიდულობს. დღეს ახლებურ მაისურას ველით და ვინ იცის, რა მოხდება. შესაძლოა, ყველაზე პოპულარული რომელიმე ახალი გალაქტიკოს მაისურა იყოს“.

ედაურდო ნავარო, გამყიდველი „ბერნაბეუს“ ერთ-ერთ დახლზე: „მთელი გასული სეზონის განმავლობაში ვყიდეთ და ვყიდეთ ბექემის მაისურები. ყველას სწორედ ეს უნდოდა, თუმცა წლეულს არ მგონია, რომ კვლავ ამდენი გავყიდოთ, რადგან სხვა, ახალი ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ. ისე კი, ბექემი კარგად თამაშობს თუ ცუდად, გოგოებს მაინც მოსწონთ“.

ეუხენიო ველასკო, მადრიდის ცენტრში ერთ-ერთი სპორტული მაღაზიის მფლობელი: „იმედი მაქვს, ვარსკვლავები კარგად ითამაშებენ და მაისურებიც ბლომად გაიყიდება“.

ბოლოს კი, რას ამბობენ დევიდ ბექემზე მადრიდელი გულშემატკივრები. მოვიტანოთ ციტატები სახელებისა და გვარების დაუსახელებლად.

„არა მგონია, ვინმეს აინტერესებდეს რას აკეთებს ის მოედნის გარეთ, მაგრამ როდესაც მოედანზეა, გვინდა გვიჩვენოს, რომ ჩემპიონია. მან კარგად უნდა ითამაშოს და დაამტკიცოს, რომ გასულ სეზონში მიღებულ ადგილს იმსახურებს, თორემ კიდევ ერთი ასეთი წელიწადი და არ გვჭირდება“.

„არ დავივიწყებთ იმ თავდადებას და წვლილს, რომელიც ბექემმა თავიდან გვაჩვენა. მისი გრძელი პასები დიდებული სანახავი იყო. ის ზიდანთან ჩინებულად პარტნიორობდა, მაგრამ შემდეგ მანაც და მთელმა გუნდმაც საძაგლობები აკეთეს და ტიტული დავკარგეთ“.

და რაც ყველაზე სახალისოა: „რეალმა“ სეზონისწინა სამზადისის გეგმაში 25 ივლისს „ბენფიკასთან“ თამაშიც ჩართო. იცით, ეს რას ნიშნავს? ეს იმას ნიშნავს, რომ დევიდ ბექემი უნდა დაბრუნდეს ლისაბონის „ლუზის“ სტადიონზე, სადაც პორტუგალიასთან შეხვედრის შემდგომ პენალტების სერიაში ბურთი ცაში გააფრინა.

27 ივლისს „რეალი“ იაპონიაშიც მიდის.

პაპუნა კედია

დევიდ ბექემი მაისურების მარიფათიანი გამყიდველი ყოფილა

რანიერი იტალიელებს ამარცხებს

ფიორე და კორადი ვალენსიას

ბერნარდო კორადი და სტეფანო ფიორე „ლაციოს“ ფეხბურთელები აღარ არიან, ისინი ესპანურ „ვალენსიაში“ გადავიდნენ. ამ წყვილის მეზობელ ქვეყანაში გადაბარგება უკვე რამდენიმე კვირის მომზადებული ამბავი იყო, მაგრამ რომაელებმა საბოლოო სიტყვა ახლაღა თქვეს.

„ლაციომ“ წყვილის გაყიდვაში დაახლოებით 25 მილიონი ევრო მიიღო და ეს მიუხედავად იმისა, რომ თავად მართებს „ვალენსიას“ გაისკა მენდიეტას 2001 წლის ტრანსფერიდან 18 მილიონი.

ფიორე — „ლაციოში“ 2001 წელს გადავიდა „უდინეზედან“ — და კორადი ესპანეთში ოთხ წელიწადს დაჰყოფენ. ფიორეს ხელფასი იქნება 1,3 მილიონი ევრო, ხოლო კორადისა 1,1 მილიონი.

„ბედნიერი ვარ, რადგან დიად გუნდში მომიწევს თამაში — თქვა ფიორემ — გულის ნაწილს კი რომში ვტოვებ. „ლაციოს“ გულშემატკივრები არასდროს დამავიწყდებიან. იმედი მაქვს, „ლაციო“ ფინანსურ პრობლემებს მოაგვარებს“.

„ლაციოს“ პრეზიდენტი უგო ლონგო: „ვალენსიელებმა ორი დიდებული ფეხბურთელი შეიძინეს“.

ასე და ამგვარად, ვალენსიელთა იტალიური კონტიგენტი გაიზარდა, მწვრთნელს, კლაუდიო რანიერის და ამადეო კარბონის, როგორც ხედავთ, ორნი დაემატნენ.

პაპუნა კედია

ავი სიტყვა

რატომ? იმიტომ, რომ ბევრი იმიტომ

მე ვიყო კოიმბრა დე სოუზა ფერეირა პარიერა დუშ სანტუშ გომეშ მაგალიაეში! პორტუგალიის შარაგზებზე ბოყინა ინგლისელი ფანებით მოხიბლული ქართველი ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე, გიო (სავარაუდოდ გიორგი) ახლედიანი ერთ-ერთ წერილში წერდა, რომ ქართველები ევროპის ჩემპიონატს მანამ ვერ ვუმასპინძლებთ, სანამ ჩვენს ქუჩებში სხვათა ზეიმის მოთმენას არ ვისწავლით. ცამდე მართალია! და ამ ნათქვამმა თემის გაღრმავებისკენ მიბიძგა.

მაშ ასე, დღეს ჩვენი ავსიტყვაობის თემა: „რატომ ვერ ვუმასპინძლებთ ქართველები ევროპის ჩემპიონატს ჯერ? ჰა?“

ამ კითხვაზე რამდენიმე პასუხია.

ა) ქართველები განუვითარებელი ერი ვართ, რომელსაც ერთადერთი რამ შეუძლია — იტრაბახოს იმით, რომ 900 წლის წინ ერთმა კაცმა პოემა დაწერა. ვაშა! ჩამოასხი, დავლიოთ!

ბ) ქართული ფეხბურთი კვდება და იმ დროისთვის, როდესაც ჩვენში დღეისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა მოძლიერდება (სავარაუდოდ 2798 წლისთვის) არც ქართული ფეხბურთი იარსებებს და, ალბათ, აღარც მსოფლიო ფეხბურთი. დედამიწას ეს თამაში უბრალოდ მობეზრდება ან გადააკეთებს-გადმოაკეთებს, სახეს შეუცვლის. ხოლო იმ, სახეცვლილი თამაშისთვის საჭირო სტადიონი ჩვენთან, ცხადია, უსახსრობის და ტექნოლოგიის უქონლობის გამო ვერ აშენდება.

გ) ქართველებს სტადიონზე ქალები არ დაგვყავს, იმიტომ, რომ ქალი კუხნაში უნდა იყოს. თუ ქალი სტადიონზე მაინც მივა, რისკავს ნახოს ათასი შავსაროჩკიანი და შავშარვლიანი კაცი, რომელსაც საფეხბურთო შეხვედრაში ძირითადად მსაჯის გინება ხიბლავს — ასე უფრო კარგად იბოღმება.

დ) ევროპის ჩემპიონატის ჩასატარებლად აუცილებელია სტადიონების და სასტუმროების აშენება, გზების გაყვანა და სხვა, რასაც უამრავი სამუშაო ადგილის შექმნა სჭირდება. სამუშაო ადგილი ნიშნავს მუშაობას, ხოლო ეს არის ის, რაც არ არის პივის სმა, ბირჟაობა, ღვინის სმა, ნარდის თამაში და სხვა ეროვნული მოძრაობა ანუ დვიჟენია. მოკლედ, ჩვენ მაგის მკადრებლები არ ვართ და ვაბშე.

ე) ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა ნიშნავს ძალიან ბევრი სტუმრის ჩამოსვლას, ან ბევრი უცხო აზრის მოსმენას, ძალიან ბევრი ფულის შემოსვლას და რაღაც ასეთ იქაურ ამბებს. არადა, ყველაფერი მამაძაღლობა (მორფი, ჰედერასტობა, მოკლე კაბა, ვიდეო და კომპიუტერი) კაკრაზ უცხოეთიდან მოდის. ამიტომ მაგ ევროპის ჩემპიონატს ჯობია განვავითაროთ ჩვენი ეროვნული ამბავი: თამადობის ინსტიტუტი, თამადის მოადგილეობის ინსტიტუტი, თამადის ნათქვამის მოსმენის ინსტიტუტი და ბევრი სხვა უმაღლესი სასწავლებელი. ბოლოს და ბოლოს, ნუ დაგვავიწყდება, რომ ჩვენ ის ხალხი ვართ, 900 წლის წინ ერთმა კაცმა პოემა რომ დაწერა.

ვ) ევროპის ჩემპიონატის... ეეეე! კიდევ იცით, რამდენი მიზეზის მოტანა შეიძლება? უამრავის. ამიტომ ჯობს, ჩავრთოთ ტელევიზორები და ეკრანზე ვნახოთ ფერადი, მომღერალი საზოგადოება, ღიმილიანი სახეები, ბუშტები, პლაკატები, ახალი სტადიონები და ფეხბურთი... ოღონდ ცხადია, ცუდი, აბა, ისე როგორ!

ფინეთი

ვეიკაუსლიგა. XI ტური

ტამპერე 2:2 ინტერი

ალიანსი	11	7	1	3	17:13	22
ჰაკა	11	6	3	2	18:7	21
ტამპერე	10	6	3	1	14:6	21
ინტერი	11	6	2	3	21:14	20
კტპ	11	5	3	3	16:11	18
ტურკუ	10	5	2	3	16:12	17
ჰიკ	11	3	7	1	17:11	16
ლაჰტი	11	2	7	2	12:14	13
მიუპა	9	3	3	3	10:11	12
ჯაზი	10	3	1	6	18:21	10
ტპ 47	9	2	3	4	11:13	9
იარო	10	2	1	7	11:21	7
ჰამენლინა	10	1	3	6	10:20	6
როვანიემი	10	1	1	8	8:25	4

უკრაინა

ალსვენსკა. X ტური

მალმიო 1:0 იორგრიტე

ჰალმსტადი	9	7	1	1	22:9	22
ჰამარბი	10	6	2	2	10:6	20
მალმიო	10	5	4	1	16:5	19
კალმარი	9	5	2	2	13:8	17
გიოტებორგი	9	4	2	3	9:6	14
სუნდსვალი	10	3	4	3	10:10	13
იურგორდენი	9	3	3	3	12:13	12
იორგრიტე	10	2	4	4	9:13	10
იორებრო	9	3	1	5	12:21	10
ტრელებორგი	9	2	3	4	7:10	9
აიკ	9	2	3	4	5:9	9
ლანდსკრონა	9	2	2	5	10:14	8
ჰელსინგბორგი	9	1	4	4	13:15	7
ელფსბორგი	9	1	3	5	6:15	6

ბრაზილია

თასის ფინალი

საპასუხო მატჩი

ფლამენგო 0:2 სანტო ანდრე (2:2)

აშშ

MLS

გადადებული მატჩი

ნიუ იორკი 2:3 კოლორადო

ამხანაგური მატჩი

არგენტინა 2:1 პერუ

1:0 კილი გონსალესი (24), 1:1 სოლანო (35პ), 2:1 სავიოლა (73)

ფეხბურთის რუკასთან

იტალიური „მილანის“ სატრანსფერო საქმეთა გამრიგე არიედო ბრაიდამ მასმედიას შეუტია, მორჩით სპეკულაციებს, ოფიციალურად ვაცხადებთ, „რომას“ კაპიტან ფრანჩესკო ტოტის გადაბირებით არ ვართ დაინტერესებულნი, ჩვენ სხვა გეგმები გვაქვსო. ბრაიდამ იქვე გაამხილა, „მილანი“ მხოლოდ ორ ფეხბურთელს ეკურკურება და ამ ორიდან ერთ-ერთს ახალი სეზონისთვის შევიძენთო. სამიზნეები კი თავდამსხმელები არიან, ბრაზილიური „სან პაულუს“ ლუის ფაბიანო და მადრიდის „ატლეტიკოს“ ფერნანდო ტორესი.

დანიის ნაკრების ნახევარმცველი იესპერ გრონკიაერი ლონდონის „ჩელსის“ რომ დატოვებს, უკვე გადაწყვეტილია. აქამდე მისი შეძენის ერთადერთი და საკმაოდ რეალური კანდიდატი „ბირმინგემი“ იყო, მაგრამ დანიელს კონტრატზე ხელი ჯერ არ მოუწერია და ეგებ საერთოდაც არ მოაწეროს, რადგანაც მას ესპანურმა „სევილიამ“ დაადგა თვალი. „ამჟამად ორი შემოთავაზება გვაქვს: „ბირმინგემისგან“ და „სევილიასგან“. ესპანელების წინადადება ძალიან საინტერესო და მიმზიდველია, ამიტომ დიდი შანსია, იესპერმა კარიერა პრიმერადივიზიონში გააგრძელოს“ — განაცხადა გრონკიაერის აგენტმა.

ბულგარეთის ნაკრებისა და პლოვდივის „ლოკომოტივის“ მცველი კირილ კოტევი მოსკოვში ჩაფრინდა და „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს. „ერთი კვირა სხვა ფეხბურთელებთან ერთად ვივარჯიშებ და თუ ყველაფერი კარგად იქნება, კლუბთან კონტრაქტსაც გავაფორმებ“ — განაცხადა კოტევმა. სავარაუდოდ, ეს ტრანსფერი მოსკოვის „ლოკომოტივს“ 800 ათასი ევრო დაუჯდება.

ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი ნიკი ბათი სავარაუდოდ „ნიუკასლში“ გადავა. „კაჭკაჭები“ მის სანაცვლოდ დაახლოებით 4 მილიონ გირვანქას იხდიან. ბათის გადაბირება „მიდლსბროსა“ და „მანჩესტერ სიტისაც“ სურდათ, მაგრამ თავად ფეხბურთელს ურჩევნია, კარიერა უფრო ძლიერ კლუბში გააგრძელოს, რათა ეროვნულ გუნდში ადგილი არ დაკარგოს.

არგენტინელი ვალტერ სამუელი ოფიციალურად გახდა მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი. „რომას“ ყოფილმა მცველმა სრული სამედიცინო შემოწმება უკვე გაიარა და მომავალი ხუთი წლის მანძილზე იგი „სამეფო კლუბში“ ითამაშებს, მისი შეძენა „რეალს“ 25 მილიონი ევრო დაუჯდა.

ინგლისურ „პორტსმუთს“ ტრაიანოს დელასის იჯარით თხოვება სურს, მაგრამ „რომამ“ ბერძენს ფასი საგრძნობლად აუწია. „ევრო 2004-ის დაწყებამდე რომაელები მზად იყვნენ, დელასი უფასოდ გაენათხოვრებინათ, ახლა კი 2,5 მილიონ გირვანქას ითხოვენ. იმედია, საერთო ენას მაინც გამოვნახავთ“ — აღნიშნა „პორტსმუთის“ მწვრთნელმა ჰარი რედნაპმა.

საფრანგეთის ნაკრების ნახევარმცველი კლოდ მაკელელე „ჩელსის“ აღარ სჭირდება. ლონდონელები ფეხბურთელს კვირაში 70 ათას გირვანქას უხდიან, მისი თამაში კი არ აკმაყოფილებთ. აქედან გამომდინარე, „ჩელსის“ ხელმძღვანელობა მაკელელეს ტრანსფერზე დაყენებას უპირებს. თავის მხრივ, ფეხბურთელი კონტრაქტის დროზე ადრე შეწყვეტის გამო საკმაოდ დიდ თანხას მიიღებს კლუბისგან კომპენსაციის სახით.

ინგლისური „ჩელსი“ „ბენფიკას“ ნახევარმცველ ტიაგუ მენდეშით დაინტერესდა. მენდეში ამჟამად ევრო 2004-ზე პორტუგალიის ეროვნულ გუნდთან ერთადაა, მაგრამ ჯერ არც ერთ მატჩში არ მიუღია მონაწილეობა. „ტიაგუ ერთ-ერთი ნახევარმცველია იმ სამიდან, რომელთა შეძენაც გვინდა“ — აღნიშნა „არისტოკრატთა“ აღმასრულებელმა დირექტორმა პიტერ კენიონმა. კენიონს კი იმ ორი ფეხბურთელის ვინაობა არ გაუმხელია.

საფრანგეთის ბოლო ჩემპიონატისა და „ოსერის“ ბომბარდირი ჯიბრილ სისე „ლივერპულში“ გადავიდა. მერსისაიდელებს ტრანსფერი 12 მილიონი ევრო დაუჯდათ. ინგლისელები 22 წლის ფეხბურთელს დიდი ხანი აკვირდებოდნენ, მისი გადაბირება სულაც „ლივერპულის“ აწ უკვე ყოფილ თავკაც ჟერარ ულიეს სურვილი იყო. ახლა ულიე აღარ არის გუნდის მწვრთნელი. სამაგიეროდ, ახალდანიშნულმა რაფაელ ბენიტესმა სისეზე ასეთი კომენტარი გააკეთა, ფანტასტიკური ფეხბურთელია, მისი ჩემს გუნდში ხილვა ჯერ კიდევ მაშინ მსურდა, როცა „ვალენსიას“ ვწვრთნიდიო.

ავსტრალიელი ფორვარდი მარკ ვიდუკა ახალი სეზონიდან შესაძლოა, „მიდლსბროში“ ვიხილოთ. გავრცელებული ინფორმაციით, ტრანსფერი უახლოეს დღეებში განხორციელდება, 28 წლის ვიდუკა კონტრაქტზე მაშინ იოაწერს ხელს, როცა სამედიცინო შემოწმებას გაივლის. „ბორო“ კი პრემიერლიგიდან გავარდნილ „ლიდსს“ 4 მილიონ ევროს გადაუხდის.

ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ვან გაალი სავარაუდოდ, ლისაბონის „ბენფიკას“ ჩაიბარებს. პორტუგალიური პრესის ცნობით, „აიაქსისა“ და „ბარსელონას“ ყოფილ თავკაცთან „ბენფიკას“ უფროსობამ უკვე დაიწყო მოლაპარაკება. თუ დაითანხმეს, ლუის ვან გაალი მადრიდის „რეალში“ წასულ ხოსე ანტონიო კამაჩოს შეცვლის.

eurofan2004@hotmail.com

რა დროს მაკარონია, ხაჭაპურს გაუმარჯოს!

ევროპის ჩემპიონატი ბოლოსკენ გადის, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი კი ახლოვდება. ეს ამბავი კი იმიტომ გავიხსენე, რომ თქვენს წერილებში მალიმალ გაისმის „საქართველოს გაუმარჯოს“ და მისთანა შეძახილები.

ეუსებიო ფინალშია

VASHAKIDZE: კახას დავეთანხმები, რა დროს იტალია, გერმანია და ეგეთები გვყავს დასატირი, ჩვენ საქართველოს უნდა ვუშველოთ და ვუქომაგოთ. საბერძნეთი, დანია, თურქეთი, უკრაინა, განა ადვილია? ალბანეთზე არაფერს ვამბობ. ტკიპასავით აგვეწებენ და სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ძალიან გვამწარებენ. საქართველოს გაუ-მარჯოოოოს!!! საქართველო ჩემია და ჩვენია, ხალხო!

მე კი დავძენდი: ბატონო მერაბ! საქართველოს ნაკრები თქვენს გარდა ჩემია, **VASHAKIDZE**-სია და საერთოდ, თითოეული ჩვენგანისაა.

BAGRATIONI888: მინდა გითხრათ, რომ მართლაც ჩემპიონატი გახურდა, რასაც ნამდვილად არ ველოდი, მაგრამ რა გაეწყობა, თუ ყველა ჩემპიონატზე ბრაზილია ვერ იქნება, რომ უფრო ლამაზი და ვირტუოზული ფეხბურთით დაგვატკბოს ამ სულში ჩამწვდომი, ულამაზესი სანახაობის მოტრფიალენი. საქართველოს ნაკრების უდიდესი გულშემატკივარი ვარ და მერე უკვე ბრაზილიის. ასეთი ბედი გვარგუნა განგებამ, რომ საქართველოს ნაკრები ვერც ერთ დიდ ტურნირზე ვერ ხვდება და ქართველი კაცი რომ უფეხბურთოთ ვერ ძლებს, ეს ხომ ნაღდია. აი, ამიტომაცაა, რომ საქართველოს გარდა რა აღარ გვესმის. ხალხო, რა დროს იტალიაა ან კიდევ გერმანია, ჩეხეთი, საფრანგეთი, ჰო, სულ დამავიწყდა, დანია. ეგ ნაკრები აქ რომ ჩამოვა, მერე უგულშემატკივრონ ნამდვილმა ფანებმა.

უყურე **BAGRATIONI888**-ს, სულში ჩამწვდომიო, სანახაობის მოტრფიალენიო, ნაღდი პოეტი ყოფილა. ისე, დანია რომ ჩამოვა, ტრიბუნაზე ქართველი გოგო თუ დაინახეთ, იმათ რომ ქომაგობდეს, უეჭველად ნათია იქნება — აი, ის, დანიის ჩემპიონობაზე 100 დოლარი რომ ჰქონდა დადებული.

DIDGORI1121: მოდი, მართლა ვიყომაროთ ფეხბურთი სადმე, კაი აზრი მოგვაწოდა **GIORGI**-მ. ისე, გუშინ კაი თამაში იყო, არა? მე მომეწონა. და როგორც ვიპროგნოზე, ისე მიდის. მართალია, დღეს ჩეხია **WINERS**, final პორტუგალ-ჩეხია და ჩეხეთი მოიგებს. გუშინ რაც ლოგიკა იყო, ისე მოხდა. ხო იყო გასავარდნი ჰოლანდია, სამართლიანად მოუგო პორტუგალიამ, ვინმე ხომ არ შემეწინააღმდეგება? მანიშე ძაან მაგარია და ასეთი გუნდი პორტუგალიას ეუსებიოს დროს თუ ჰყავდა. იმის მერე აღარ ჰყოლია. ხომ მეთანხმები? სკოლარი ხომ ძაან მაგარია. ეგეთი მწვრთნელი ძაან იშვიათია ახლა.

P.S. ერთი იტალიის დედაც და მსოფლიოს ყველა გუნდისაც. გაუმარჯოს საქართველოს და ქართველებს!

გაუმარჯოს, გაუმარჯოს! ეუსებიოს დროინდელ ნაკრებზე კი ვერ დაგეთანხმები იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ იმ ნაკრების თამაში არ მახსოვს.

მომდევნო წერილის ავტორმა კი უფრო ძველი ამბები გაიხსენა.

1934 წლის იტალია ვისღა გაახსენდა?

BACHO91: საერთოდ არ მესმის იტალიელების ქომაგების, რომლებიც თავიანთი ფეხბურთელების ჭკუამოკლეობას დანიელებს და შვედებს აბრალებენ, აქაოდა, გარიგებული მატჩი ითამაშესო. ვითომ თვითონ არ მოიქცეოდნენ ეგრე?! და საერთოდაც, გაიხსენონ 34-38-ში როგორ გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები. მოეგოთ მაგ დალოცვილებს რომელიმესთვის და გავიდოდნენ ჯგუფიდან და თუ ვერ მოუგეს, ესე იგი, არ ყოფილან სკანდინავიელებზე ძლიერები და არც იმსახურებდნენ შემდეგ ეტაპზე გასვლას.

BACHO, ეუსებიოს თამაში არ მახსოვს და 70 წლის წინ რა მოხდა ის მეხსომება? შენ მე და ჩვენი რუბრიკის ავტორები რა ხნისანი გგონივართ. მაგრამ საფეხბურთო წიგნებს თუ ვენდობით, კი, ეგრე იყო, წამიკითხავს, მუსოლინის ძალიან უნდოდა იტალიას მოეგო ჩემპიონობაო. ჰო, 64-ში ესპანეთი რომ გახდა ევროპის ჩემპიონი, ფრანკოს უნდა უმადლოდენო, ესეც წერია.

მაგრამ შევეშვათ იტალიას, როგორც ამას ჩვენი მომდევნო წერილის ავტორი ითხოვს.

SOSOGAGNIDZE: საერთოდ შევეშვათ იტალიის შესახებ ნეკროლოგების წერას. მათ მიიღეს ის, რაც დაიმსახურეს. ამას ვწერ კაცი, რომელიც 22 წელია „სკუადრა აძურას“ თავგადაკლული ფანი ვარ. ტრაპის რომ ჯირალდინო და მიკოლი წაეყვანა, სულ სხვა სიტუაცია იქნებოდა. რაც შეეხება ტოტის, რაც მაგან საქართველოსთან თამაშში იკადრა, იმის მერე ქართველი კაცისთვის ტოტის სიყვარული წარმოუდგენელია. პორტუგალიის გულშემატკივრებს ალალად ვუღოცავ გამარჯვებას, რადგან ვთვლი, რომ ამ გუნდის ფინალში ვერგასვლა საცოდაობა იქნებოდა.

ახლა მოდით, იმ კაცის წერილი წავიკითხოთ, რომელიც იტალიის არა, მაგრამ ზოგადად ფეხბურთის ნეკროლოგს კი გვწერს.

SERGI: ევრო 2004 მსოფლიო 2002-ს დაემსგავსა. ორივეს ერთად ჩემპიონთა ლიგის 03/04 წლების გათამაშებაც დაერთო და ჯამში რაღაც ფეხბურთის მაგვარი მივიღეთ. ფეხბურთი მოკვდა! „აძური“ სკანდინავიურმა ფრემ გამოაგდო, მაგრამ სამართალმა პური ჭამა, შვედეთსა და დანიას ცოდვებმა უწია. ჩვენ დანიელებს სამაგიეროს თბილისში გადავუხდით. ისე, საბერძნეთი, თურქეთი, სენეგალი, კორეა და თუნდაც „პორტუ“ რომ გაიხარებენ, მაშინ დაიღუპება ფეხბურთი.

ჩემო სერგი, თუ შენ თვლი, რომ ჩემპიონთა ლიგა აუცილებლად „რეალმა“, „მანჩესტერმა“, „ბაიერნმა“, „მილანმა“ ან „იუვენტუსმა“ უნდა მოიგოს, ხოლო სანაკრებო ტურნირებში მხოლოდ ბრაზილიამ, არგენტინამ და ბობოლა ევროპულმა ქვეყნებმა, დავლუპულვართ ქართველები და ეგაა. რა გამოდის, თუ საქართველოს ნაკრებმა ან რომელიმე ქართულმა კლუბმა რაიმე წარმატებას მიაღწია, ფეხბურთი ამით იღუპება? რატომღაც მგონია, რომ ფეხბურთი იმითაც არის კარგი, რომ აქ პატარები ხშირად ამარცხებენ დიდ გუნდებს.

მოდი შენ და ჩვენმა მკითხველებმა მოიწერეთ, კარგია თუ არა, სენეგალიელები და თურქები რომ გამოხტებიან და ბობოლებს ამარცხებენ-ხოლმე. ამით ფეხბურთი უფრო საინტერესო ხდება თუ არა. ჩემი აზრით, ასეთ საკითხებზე კამათი უფრო საინტერესო უნდა იყოს, ვიდრე ნიშნის მოგებით წერა, თქვენი გუნდი გაფარჩაკდაო.

დღევანდელი მიმოხილვა კი ორი სახალისო წერილით დავამთავროთ, ჩვენმა სენაკელმა მეგობარმა პორტუგალია — ჰოლანდიის მატჩის წინ მოგვწერა:

SENAKELI2: დღეს აუცილებლად მოიგებს ჰოლანდია. უფრო სწორად ფინალში გავა, იქ კი ჩეხებს მოუგებს და გახდება ევროპის ჩემპიონი. წინ ჰოლანდიავ!

გომორძგუა სენაკელო, იქამდე არაფერი გეტკინოს, სანამ ჰოლანდია ევრო 2004-ს არ მოიგებს.

ჩვენი ძველი ძმისგან, **MEZVRO**-სგან კი ორი წერილი მოვიდა, პორტუგალია — ჰოლანდიის მატჩამდე და მატჩის მერე. მატჩამდე **MEZVRO** წერს: პროგნოზი მინდა გამოვთქვა, უაღრესად დაძაბული თამაში დიდი ვერაფერი სანახაობა გამოდგება. გუნდები გოლის გატანაზე უფრო საკუთარი კარის დაცვით იქნებიან გართული. ჰა-ჰა 1:1 ძირითადი დრო. ორზე მეტი გოლი ალბათ არ გავა. პენალტების სერიაში წესით იღბლიანმა პორტუგალიელებმა უნდა იმარჯვონ. ვნახოთ, თამაშის მერე კიდევ მოვიწერები.

MEZVRO-მ დაპირებისამებრ ნამატჩევსაც მოიწერა: არ გამართლდა ჩემი გამოთქმული აზრი, თამაში ცოტათი უფრო საინტერესო და უხვგოლიანი აღმოჩნდა, ვიდრე ველოდი. პორტუგალიელთა ფინალში გასვლის გამოცნობითღა თუ მოვიწონებ თავს. მონდომების და ჟინის ხარჯზე მიაღწიეს დასახულ მიზანს. ასე ვიტყოდი, 55 პროცენტი მოტივაციამ განსაზღვრა პორტუგალიელთა წარმატება. დანარჩენი იღბალმა თუ სკოლარის ტაქტიკურმა ჩანაფიქრმა. ჰოლანდია კი ნაღდად არ იყო ფინალში თამაშის ღირსი.

ფეხბურთს კი რუბრიკის ავტორებთან სიამოვნებით ვითამაშებ. გამოჩნდებიან კი „იტალიელების“ მოწინააღმდეგენი?

ჰა, „არაიტალიელებო“, რას იტყვით, ეთამაშებით ამათ ფეხბურთს?

მოკლედ დღეს სულ ეს იყო. ჰო, jaba-s ატაჩმენტი ვერ გავხსენი, bbbaaa-ს წერილი კი რაღაც უცნაური სიმბოლოებითაა სავსე და ვერ ვკითხულობ. თავიდან მოიწერეთ.

ვეგმასტერი ბუარა

eurofan2004@hotmail.com

ობიექტივი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერი ალალი და ნაღდია, პორტუგალიური სიცილიც და ჰოლანდიური ცრემლიც



ლაციოური ნუგეში: ფერნანდო კოუტუმ იაპ სტამს, რა ვუყოთ, ძმაოო...

ქალბატონმა სკოლარიმ უნდა თქვას, ქმარი მყავსო

გაიხდი? გაყვითლდები

ფეხი ფეხის წილ



რუუდს ბურთის გორების ნაცვლად, სატრფოსთან გორაობა მოუწევს

სარბიელი: კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. სუპერეტა. XIII ტური						
		3 ივლისი						
18.00	463	ბრაგე-ფრიოლუნდა	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23
18.00	464	ბრომაპოიკარნა-ფრისკა	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
18.00	465	გეფლე-ვესტეროსი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
18.00	466	ატვიდაბერგი-იოსტერსი	2,45	3,2	2,45	1,38	1,22	1,38
18.00	467	ენჩიოპინგი-ჰეკენი	3,5	3,3	1,85	1,69	1,21	1,18
20.00	468	ასირისკა-ფალკენბერგი	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09
20.00	469	ნორჩიოპინგი-გაის	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72
		ნორვეგია. ტიპელიგა. XIV ტური						
		4 ივლისი						
18.00	470	ლინი-მოლდე	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
18.00	471	ბოდიო გლიმტი-ვოლერენგა	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46
18.00	472	სტაბეკი-ოდ გრენლანდი	2,25	3,3	2,8	1,33	1,24	1,51
18.00	473	ვიკინგი-ტრომსიო	2,15	3,3	3,0	1,3	1,25	1,57
18.00	474	ჰამარი-სოგნდალი	2,0	3,3	3,3	1,24	1,24	1,65
18.00	475	ფრედრიკსტადი-ლილესტრიომი	3,3	3,3	2,0	1,65	1,24	1,24
		5 ივლისი						
21.00	476	ბრანი-რუსენბორგი	3,5	3,4	1,85	1,72	1,21	1,19
		ნორვეგია. I დივიზიონი. XV ტური						
		4 ივლისი						
18.00	479	ალესუნდი-მოსი	1,45	4,2	5,3	1,07	1,13	2,34
18.00	480	ჰაუგესუნდი-კონგსვინგერი	2,3	3,6	2,4	1,4	1,17	1,44
18.00	481	ჰიოდი-ვარდ ჰაუგესუნდი	1,5	4,0	5,0	1,09	1,15	2,22
18.00	482	მანდალი-სანდეფიორდი	2,8	3,6	2,05	1,57	1,18	1,3
18.00	483	პორს გრენლანდი-ბრინი	2,5	3,6	2,2	1,47	1,17	1,36
18.00	484	სკეიდი-ჰიონეფოსი	2,1	3,6	2,7	1,32	1,18	1,54
18.00	485	სტრიომსგოდსეტი-სტარტი	3,1	3,6	1,9	1,66	1,17	1,24
18.00	486	ტრომსდალენი-რაუფოსი	2,7	3,8	2,0	1,57	1,14	1,31
		ირლანდია. პრემიერლიგა. XIX ტური						
		2 ივლისი						
22.30	508	უოტერფორდი-დროგედა	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59
22.45	509	შელბურნი-შემროკი	1,65	3,2	4,8	1,08	1,22	1,92
22.45	510	სტ.პატრიკსი-დერი	1,9	3,1	3,6	1,17	1,24	1,66
		3 ივლისი						
22.30	511	ლონგფორდი-ბოჰემიანი	3,1	3,1	2,1	1,55	1,25	1,25
		რუსეთი. პრემიერლიგა. XIV ტური						
		3 ივლისი						
16.00	514	როსტოვი-ზენიტი	2,9	3,0	2,3	1,47	1,28	1,3
16.00	515	როტორი-რუბინი	2,4	2,9	2,8	1,31	1,29	1,42
16.00	516	სატურნი-ამკარი	1,6	3,3	5,3	1,07	1,22	2,03
16.00	518	კრილია-კრილია	1,6	3,3	5,3	1,22	1,22	2,65
16.00	519	ყუბანი-დინამო	2,6	2,8	2,6	1,34	1,3	1,34
16.00	520	ცსკა-ტორპედო	2,1	3,1	3,2	1,25	1,26	1,57
		ბრაზილია. სერია A. XII ტური						
		3 ივლისი						
23.00	523	ატლეტიკო პრ-ჟუვენტუდი	1,75	3,1	4,4	1,11	1,25	1,81
23.00	524	ფიგეირენსე-ვასკუ და გამა	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
23.00	525	ინტერნასიონალი-კრიციუმა	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
23.00	526	სან პაულუ-პონტე პრეტა	1,7	3,2	4,6	1,11	1,24	1,88
24.00	527	ვიტორია-ეოიასი	1,75	3,2	4,2	1,13	1,23	1,81
01.00	528	ფლუმინენსე-გრემიო	1,85	3,2	3,6	1,17	1,22	1,69
01.00	529	გუარანი-ატლეტიკო მნ	2,0	3,1	3,4	1,21	1,25	1,62

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		4 ივლისი						
23.00	530	პარანა-პალმეირასი	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42
23.00	531	სან კაეტანო-ბოტაფოგო	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
23.00	532	კორინთიანსი-სანტოსი	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42
01.00	533	კრუზეირო-კურიტიბა	1,5	3,5	6,0	1,04	1,2	2,21
01.00	534	ფლამენგო-პაისანდუ	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
		შვედეთი. თასი. 1/8 ფინალი						
		2 ივლისი						
21.00	543	იურგორდენი-სუნდსვალი	1,5	3,6	5,6	1,05	1,18	2,19
21.00	544	ჰალმსტადი-იორებრო	1,55	3,6	5,0	1,08	1,18	2,09



ისარგებლეთ
კროკოს ახალი
მომსახურებით



ფორმულა 1 (საფრანგეთი). 3 ივლისი (12.00).

8001 გამარჯვებული	8201 ექვსეული	8301 უსწრ. წრე
მ.შუმახერი ---------- 1,35	1,05 ---------- 1,02	1,4
ბარიკელო ---------- 6,0	1,6 ---------- 1,07	4,0
მონტოია ---------- 10,0	2,0 ---------- 1,15	6,0
ჟენე ---------- 25,0	5,6 ---------- 1,3	12,0
კულტჰარდი ---------- 40,0	9,0 ---------- 1,5	25,0
რაიკონენი ---------- 25,0	6,0 ---------- 1,35	15,0
ტრული ---------- 12,0	2,8 ---------- 1,17	8,0
ალონსო ---------- 11,0	2,4 ---------- 1,15	7,0
ბატონი ---------- 8,0	1,75 ---------- 1,12	6,0
სატო ---------- 15,0	3,0 ---------- 1,2	12,0
ფიზიკელა ---------- 100,0	25,0 ---------- 3,5	40,0
მასა ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
უებერი ---------- 100,0	25,0 ---------- 3,5	40,0
კლიენი ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
და მატა ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
პანისი ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
ჰაიდფელდი ---------- 250,0	50,0 ---------- 7,0	75,0
პანტანო ---------- 300,0	50,0 ---------- 7,0	75,0
ბრუნი ---------- 500,0	100,0 ---------- 12,0	100,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ



რეინჯერსი ამხანაგურ ჯერს რომათი იწყებს

შოთამ და ექიმმა ნელ-ნელა გადაწყვიტეს

საახალსეზონო მზადებას არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსი“ 5 ივლისიდან შეუდგება. შოთა არველაძე ახლა თბილისშია, ზურაბ ხიზანიშვილი კი იტალიაში და იქიდან ჩავა გლაზგოში.

მუხლზე ნაოპერაციები არველაძე ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობს. მან და „რეინჯერსის“ ექიმმა გუშინ ისაუბრეს და გადაწყვიტეს, რომ არველაძე დანარჩენი რეინჯერსელებივით ჯერ ვერ დაიტვირთება, ნელ-ნელა უნდა გაუთანაბრდეს თანაგუნდელთა ფიზიკურ დატვირთვებს.

„რეინჯერსი“ გლაზგოში ათი დღე გაჩერდება, ხოლო 16 ივლისიდან ავსტრიაში გააგრძელებს შეკრებას, სადაც ერთი მნიშვნელოვანი ამხანაგური თამაში ელის — გლაზგოელი „ჩაფრები“ იტალიურ „რომას“ დაუპირისპირდებიან.

ერთი ავსტრიული კვირის შემდეგ „რეინჯერსი“ ბრიტანეთში დაბრუნდება — ლონდონში „ფულემს“ ესტუმრება, მერე „ნიუკასლს“, სქოთური პრემიერლიგა კი 7 აგვისტოს დაიწყება.

დავით თავართქილაძე

ალექსანდრე იაშვილი: მხოლოდ ბუნდესლიგა და გერმანია

ჩემპიონთა ლიგის მომგები ფრაიბურგში ჩადის

ბუნდესლიგის „ფრაიბურგს“ საახალსეზონო შეკრება დაეწყო — გუშინ ფოლკერ ფინკეს გუნდმა შვებულების შემდეგ პირველად ივარჯიშა, ჰოდა, ჩვენც წინა სეზონის საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელ ალექსანდრე იაშვილს ფრაიბურგში შევეხმიანეთ...

— „ფრაიბურგს“ იგივე შემადგენლობა ჰყავს, რაც წინა სეზონში. გუნდის მიზანი კვლავაც ბუნდესლიგაში დარჩენაა, თუმც კლუბის კრებაზე ითქვა, ეს ბოლო ტურებში არ უნდა წყდებოდეს და ათეულში ადგილი ადრევე უნდა დავიჯავშნოთ.

— წინა სეზონის ბოლოს „ფრაიბურგთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმე, რათა შენი სხვა გუნდში გადასვლით „ფრაიბურგსაც“ ეხეირა — ჯერაც ფრაიბურგელი ხარ...

— ტრანსფერები აგვისტოს ბოლომდე ღიაა, ასე რომ, დრო ჯერ კიდევ მაქვს. არის კონკრეტული ვარიანტები, მაგრამ ახლა მათზე ლაპარაკს აზრი არ აქვს. საკითხი ისე არ დგას, ოღონდ „ფრაიბურგიდან“ სხვა გუნდში წავიდე. „ფრაიბურგს“ მხოლოდ იმ შემთხვევაში დავტოვებ, თუ საინტერესო წინადადებას მივიღებ.

— თუ სხვა გუნდში გადახვალ, აუცილებლად ბუნდესლიგისაში?

— ჰო, მხოლოდ ბუნდესლიგურ გუნდში გადავალ.

— რატომ, გერმანიის გარდა სხვაგან თამაში არ გსურს?

— არა, რადგან მომწონს ბუნდესლიგა და უკვე კარგად ვიცი, აქ როგორ თამაშობენ ფეხბურთს. თანაც კარგა ხანია, გერმანიაში ვცხოვრობ და აქაურობას შევეჩვიე.

— შეკრებაზე ფრაიბურგიდან არ გადიხართ?

— 4 ივლისს ჩრდილოეთის ზღვის კუნძულ ლანგეუგზე წავალთ, სადაც ადრეც დავდიოდით ხოლმე და შინ ათ დღეში დავბრუნდებით. შემდეგ საკონტროლო მატჩებს ვითამაშებთ რამდენიმე გუნდთან, მათ შორის „სოშოსთან“ და „ბაიერნთან“. ხოლო სექტემბერში „პორტუს“ ვუმასპინძლებთ — სამი წლის წინ პორტუგალიელებმა „ფრაიბურგიდან“ მირან პავლინი წაიყვანეს და კლუბთან ანგარიში ჯერაც გასასწორებელი აქვთ და ამიტომაც ჩამოვა „პორტუ“ „ფრაიბურგთან“ სათამაშოდ.

— სხვა სიახლე არაფერია „ფრაიბურგში“?

— კლუბმა სტადიონის სახელი გაყიდა — „დრაიზემშტადიონს“ აწი „ბადენოვას“ სტადიონი ერქმევა, ხოლო „ფრაიბურგის“ მთავარი სპონსორი დამდეგი სეზონიდან „სუძუკი“ იქნება.

დავით თავართქილაძე

იყოს ვისლა

მამია ჯიქია სამი წლით კიდევ პოლონელია

ბიბლიოთეკა

დღეს მამია ჯიქია პოლონური პლოცკის „ვისლასთან“ სამწლიან კონტრაქტს გააფორმებს. წლების მანძილზე ვრონკის „ამიკას“ ერთ-ერთი ლიდერი სეზონის დასრულებისთანავე გერმანიაში გადაბარგებას გეგმავდა, თუმც წყეულმა ტრავმამ ხელი შეუშალა. „ფრაიბურგი“, „მიონხენგლადბახი“ და „მაინცი“ — ასეთი იყო ჯიქიას მსურველთა რიგი. ჩვენებურს კი ხელში „ვისლა“ შერჩა, თუმც ამ ხვედრითაც არ ჩანს მაინცდამაინც უკმაყოფილო.

— დღეს ჩამოვედი პლოცკში და კლუბის ხელმძღვანელობას შევხვდი. აბსოლუტურად ყველაფერზე მოვილაპარაკეთ. ერთადერთი, რაც დარჩა, კონტრაქტზე ხელმოწერაა, რასაც ხვალ დილით გავაკეთებ „ვისლას“ ოფისში.

— ესე იგი, თითქმის ვისლელი ხარ...

— თითქმის კი არა, უკვე ვისლას სრულუფლებიანი წევრი ვარ. ხელმოწერა რა პრობლემაა, რამდენიმე საათიც და...

— რა ნომერი აირჩიე?

— 11. „ამიკაში“ 9 ნომერი ვიყავი, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. 11-საც სიამოვნებით ჩავიცვამ.

— კონტრაქტი რამდენწლიანია?

— სამწლიანი.

— ამდენი ხნით აპირებ „ვისლაში“ დარჩენას?

— ორწლიანზე არ დამთანხმდნენ, თუმცა ამ კონტრაქტშიცაა ჩემი პირობები გათვალისწინებული და სერიოზული ვარიანტი თუ გამომიჩნდა, ხელს არ შემიშლიან.

— პირობებით კმაყოფილი ხარ?

— რა თქმა უნდა. ცუდ პირობებს რატომ დავთანხმდებოდი?!

— „ამიკას“ რა ერგო შენს სანაცვლოდ?

— არაფერი. „ამიკასგან“ მე აქეთ მერგება.

— დავალიანება აქვთ?

— პრემიების ნაწილი დარჩათ მოსაცემი, თუმცა დამპირდნენ, რომ თვის ბოლომდე გამისტუმრებენ.

ბაჩა შალამბერიძე

ზაზა ჯანაშია კანტის ქალაქის ღირსშესანიშნაობაა

კალინინგრადის „ბალტიკას“ თავკაც ანდრეი სიომინს ქართველი თავდამსხმელის, ზაზა ჯანაშიას იმედი აქვს. ქირვეული ფორვარდი კვირაზე მეტია, ფეხბურთს დაუბრუნდა და რუსეთის პირველდივიზიონელ „ბალტიკაში“ ვარჯიშობს, წონის დასაგდებად კი ქალაქისა და მხარის პირველობაზე მოყვარულთა გუნდ „რიბნი პორტში“ თამაშობს.



ანდრეი სიომინის თქმით, ზაზა კარდინალურად შეცვლილა. „ეს ის ჯანაშია არ არის, მოსკოვის „ლოკომოტივში“ მამაჩემის ხელმძღვანელობით რომ თამაშობდა — თქვა იური პალიჩის ვაჟმა — ზაზა მშვენივრად აცნობიერებს ყველაფერს. იცის, რომ ზედმეტი წონა აქვს, თან სათამაშო პრაქტიკა აკლია და თუ არ მოემზადა, პირველ დივიზიონში თამაშიც გაუჭირდება. მეტსაც გეტყვით: ჯანაშიაში სრულიად სხვა პიროვნება დავინახე. უკვე იცის, რომ ყველაფერი მხოლოდ მასზეა დამოკიდებული“.

სკანდალებით სახელდაგდებულ ჯანაშიას მართლა ამჩნევენ ცვლილებას: „ხუთი წლის წინ წარმოიდგენდით, რომ ზაზა სამხარეო პირველობაზე ითამაშებდა? ამის თქმასაც კი ვერავინ გაუბედავდა, მაგრამ ახლა ნახეთ, როგორ შეიცვალა“ — აგრძელებს ანდრეი სიომინი.

ჯანაშიას სანახავად თურმე მთელი კალინინგრადი დადის. სამხარეო პირველობას ამდენი მაყურებელი არ ახსოვსო, ირწმუნებიან ტურნირის ორგანიზატორები და მათ სიომინიც ეთანხმება: „ზაზას უკვე ბევრი გულშემატკივარი ჰყავს. ნახეთ, რამდენი ხალხი დადის სტადიონზე მის საქომაგოდ“.

შეგახსენებთ, რომ „ბალტიკა“ სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზეა და პირველ დივიზიონში დასარჩენად იბრძვის. ითქვა, რომ ჯანაშიას დებიუტი „ბალტიკაში“ 6 ივლისს შედგება. მერე კი კალინინგრადელებს რკინიგზელი რომან ახალკაცის იმედიც ექნებათ, რომლის ტრანსფერიც დღე-დღეზე უნდა გადაწყდეს.

ბაჩა შალამბერიძე

სარბიელელები სამძიმარს ვუცხადებთ
რატი ალექსიძეს მამის
თემურ ალექსიძის
გარდაცვალების გამო

თბილისი 1:1 ლოკომოტივი

ექსმცხეთელი გიორგი ქებაძის (№9) პირველი რკინიგზული გოლი

აღმოსავლური მოლოდინი

დღეს „ლოკომოტივი“ თბილისიდან აბარგდება და ორკვირიან შეკრებაზე უზბეკეთში წავა. რკინიგზელები ტაშკენტის მახლობლად, სპორტულ კომპლექსში დაიდებენ ბინას.

უზბეკეთში წასვლამდე „ლოკომოტივმა“ გუშინ ამხანაგური მატჩი გამართა „თბილისთან“. შეხვედრას „ისანმა“ უმასპინძლა და 1:1 დასრულდა. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე კლუბი საახალსეზონო მზადების გაწამაწიაშია და ფეხბურთელებსაც დიდი დატვირთვები აქვთ, მატჩი საკმაოდ სწრაფი და თვალსაჩინო გამოდგა. მეტოქეები ერთმანეთს არაფერს უთმობდნენ და ხშირად ზედმეტად ხისტადაც კი თამაშობდნენ.

პირველი, რაც შესამჩნევი იყო, გივი კვარაცხელიას „თბილისში“ დაბრუნებაა. დედაქალაქელთა ცენტრალური მცველი ერთთვიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა გუნდს. გეხსომებათ, კვარაცხელია მე-15 ეროვნული ჩემპიონატის დასრულებისთანავე დაშორდა „თბილისს“, აქაოდა, უცხოური წინადადებები მაქვსო, თუმც ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა და უკვე გადაწყვეტილია, რომ გივი „თბილისს“ უეფას თასზე დაეხმარება.

სხვა სიახლე თითქმის არ ყოფილა. ეგაა, „ლოკომოტივში“ სომეხი ლეგიონერების გამოჩენას ველოდით, მაგრამ იმედები გაგვიცრუვდა. რკინიგზელთა შორის კვლავ არ გამოჩენილა ექსმცხეთელი ლაშა ჩხაიძეც, რომელმაც წელის ტკივილის გამო „დინამოსთან“ წინა ამხანაგური მატჩიც გამოტოვა. სამაგიეროდ, კარში ზურაბ ბათიაშვილი ჩადგა, რომელზეც ამბობდნენ, თითქოს ბოლნისის „სიონში“ გადასვლას ეშურებაო.

„თბილისის“ თავკაცი გიორგი დევდარიანი პირველ ტაიმში ლოჟიდან ადევნებდა თამაშს თვალს და თავისი გუნდის ქმედებით დიდად კმაყოფილი არ დარჩენილა. იგი ხშირად აძლევდა შენიშვნას შეგირდებს და ერთი-ორჯერ შეუყვირა კიდეც, თუმც როგორც ზემოთ გითხარით, მოსამზადებელ ეტაპზე მყოფი გუნდისგან იდეალურ თამაშს, ცხადია, ვერ მოითხოვ და ეს, რა თქმა უნდა, დევდარიანმაც კარგად იცის.

იმედია, „თბილისი“ 14 ივლისამდე კიდევ უფრო მოღონიერდება და უეფას თასზე აზერბაიჯანულ „შამქირთან“ მატჩს სრულ მზადყოფნაში შეხვდება. ჩვენ კი მანამდე გუშინდელ მატჩზე ვთქვათ ორიოდ სიტყვა: გამოკვეთილი უპირატესობა არც ერთ გუნდს არ ჰქონია. მეტოქეები შეძლებისდაგვარად უტევდნენ ერთმანეთს, მაგრამ მეკარეებს ბევრი საქმე ნაღდად არ მისცემიათ. ანგარიში მეორე ტაიმში რკინიგზელთა კიდევ ერთმა ექსმცხეთელმა გიორგი ქებაძემ გახსნა, როცა ვალერი გაგუას იდეალური პასი მიიღო საჯარიმოში და ახლოდან ძლიერად დაარტყა.

„თბილისი“ ამის შემდეგლა დაეპატრონა მოედნის ცენტრს და მალე შეცვლაზე შესული გიორგი მიქაძის მოცლვისთვის დანიშნული პენალტით კოკა მიკუჩაძემ იხერა — 1:1.

ეს იყო და ეს. მატჩის ბოლომდე გუნდებმა ცივი ქარით შეწუხებული მაყურებელი რამდენჯერმე კიდევ გაამხიარულეს სახიფათო მომენტებით და მატჩიც დასრულდა.

ძახა შალამბერიძე

უზბეკეთის გზაზე დამდგარ „ლოკომოტივში“ ჯერაც გაურკვეველი ვითარებაა, ამიტომაც დამრჩენ-წამსვლელების სია საბოლოოდ ჯერაც არ დაზუსტებულა. უზბეკეთში „ლოკომოტივი“ ოთხ ამხანაგურ მატჩს გამართავს, თუმცა მეტოქეების ვინაობა ადგილზე ჩასვლის შემდეგ გაირკვევა. კლუბში დარჩენის საკითხი ჯერაც არ გადაუწყვეტია ირაკლი ვაშაკიძეს და შეიძლება ის გუნდს არც შეკრებაზე გაჰყვეს. არჩილ სახვაძემ გუშინ „თბილისის“ წინააღმდეგ 90 წუთი კი ითამაშა, მაგრამ „ლოკომოტივის“ დატოვება გადაწყვიტა. ერთი სიტყვით, ზაურ სვანაძე შეკრებაზე ამათ წაიყვანს: ბათიაშვილი, ბობღიაშვილი, სანიკიძე, გაგუა, სოსელია, ხუბუტია, სირბილაძე, დევიძე, გ. ონიანი, რ. ონიანი, ლ. ჩხაიძე, ბაქრაძე, მედოევი, მანწკავა, ლაცაბიძე, ბესარაშვილი, ავალიანი, კიკალიშვილი, ფოფხაძე, გ. ქებაძე.

ზაურ სვანიძის თქმით, გამორიცხული არაა, „ლოკომოტივს“ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი უზბეკეთში შეუერთდეს, ან იქვე გასინჯოს. საბოლოოდ გუნდის დაკომპლექტება კი თბილისში დაბრუნების შემდეგ დასრულდება.

დავით ერაძე

რუსთავი ივსება და იცლება

უმაღლეს ლიგაში გადასული „რუსთავისთვის“ გუშინ იმედის ნაპერწკალი გამოერთო: ქვემო ქართლის საფეხბურთო წარმომადგენლები სამხარეო ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ლაშა მინდელს შეხვდნენ. რუსთაველთა გარდა ქვემო ქართლს უმაღლესლიგელებიდან ბოლნისის „სიონი“ წარმოადგენდა. თუმცა ჩვენ ისევ „რუსთავის“ გასაჭირს დავუბრუნდეთ. შეხვედრის შემდეგ კომენტარი „რუსთავის“ მთავარ მწვრთნელ ვარლამ კილასონიას ვთხოვეთ...

— შეხვედრა შედგა, ეს თავისთავად ძალიან კარგია, თუმცა სამწუხარო ისაა, რომ კონკრეტულად პრობლემების დაძლევის გზებზე ლაპარაკი არ ყოფილა. ისევ ივივე, ძველი დაპირებები...

— რადგან შეხვედრა შედგა, ესე იგი, რაღაცას მაინც შეგპირდნენ?

— კი, იყო დაპირებები, რომ ჩვენი გუნდის შეძენა ფინანსურად საკმაოდ ძლიერ ჯგუფებს სურთ, კერძოდ, რუსეთში მოღვაწე ქართველ ბიზნესმენებს და ჰოლანდიელებიც კი დაასახელეს. მოკლედ, გვითხრეს, რომ ცდილობენ და ამ საქმის გადაწყვეტას სასიკეთო პირი უჩანსო.

— „რუსთავში“ ფულის დაბანდება ურიგო მართლაც არ უნდა იყოს, კლუბს საკუთარი სტადიონიც გააჩნია...

— საქართველოს პირობებისთვის მართლაც არცთუ ურიგო ინფრასტრუქტურა გაგვაჩნია. სხვათა შორის, „აბრეშუმის გზას“ ჩვენი გუნდის შეძენა ჰქონდა გადაწყვეტილი, მაგრამ ბოლოს „ლოკომოტივზე“ შეაჩერა არჩევანი.

— ლაშა მინდელთან შეხვედრას „სიონის“ წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ, რა მდგომარეობაა ბოლნისში?

— მაგათ რა უჭირთ, ბოლნისის გამგებელმა შეხვედრაზე თქვა, რომ 450 ათასი ლარი უკვე ახლავე აქვთ ანგარიშზე და ერთ ამდენსაც „მადნეულის“ ხელმძღვანელობა გადმოგვირიცხავსო.

— გუნდი ხომ არ დაუტოვებიათ ფეხბურთელებს?

— აბა, რას იზამდნენ?! ნახევარი გუნდი, ბედის საძებნელადაა წასული. ბარბაქაძე „კოლხეთში“ წავიდა, ბობღიაშვილი „ლოკომოტივში“, ჯელაძე ბაქოში, ფეიქრიშვილი, მიქავა, ალადაშვილი საბერძნეთში, ზვიად ლაბაძე კვიპროსზე.

დავით ერაძე

გახოკიძე და კრილია: ჩაიშალა

გიორგი გახოკიძე „კრილია სოვეტოვში“ არ ითამაშებს. ასეთი მოულოდნელი ცნობა გაჩნდა გუშინ სამარული კლუბის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. არადა, მხარეები თითქმის ყველაფერზე შეთანხმებულები იყვნენ. თუმც ტექნიკური დეტალების გამო გარიგება ჩაიშალა.

„სამწუხაროა, რომ ასეთი ნიჭიერი ფეხბურთელი ჩვენთან არ ითამაშებს, მაგრამ ბიზნესი ბიზნესია. გიორგის საფეხბურთო კარიერაში წარმატებებს ვუსურვებ“ — ასეთი კომენტარი დაურთო მომხდარს „კრილია სოვეტოვის“ პრეზიდენტმა გერმან ტკაჩენკომ.

ქუთაისის „ტორპედოში“ ისევ გაურკვევლობაა. იმერლები მოსკოვის „ლოკომოტივთან“ საქმიანი ურთიერთობის დამყარებას ეშურებოდნენ, თუმც ამ საქმიდან ჯერჯერობით სახეირო არაფერი ჩანს. ყოველ შემთხვევაში, ქუთაისში ჩამოსულმა „ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ვალერი ფილატოვმა „სარბიელს“ უთხრა, არანაირ ყიდვა-გაყიდვაზე ლაპარაკი არ არის, უბრალოდ, მეგობრები მოვინახულეო.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მხოლოდ მეგობრული ვიზიტი იყო, თუმც „ტორპედოს“ ვიცე-პრეზიდენტი შედან ნანიკაშვილიც მაინცდამაინც იმედიანად ვერ არის...

ჩამოვიდა ფილატოვი. მერე რა?! ნანიკაშვილს ლოკომოტივის იმედი აღარ აქვს

— ჯერ არაფერი ვიცი, რაღაცრაღაცები არ მომწონს და ვნახოთ...

— რა არ მოგწონთ?

— ლაპარაკია დირექტორთა საბჭოს შექმნაზე და არა მგონია, ამას რაიმე რეალური შედეგი მოჰყვეს.

— რატომ?

— მყიდველი ისედაც იყიდიდა და რაღაც უაზრო დირექტორთა საბჭოზე არ იფიქრებდა. ყოველ შემთხვევაში, მე ამაში საიმედოს ვერაფერს ვხედავ.

— რამდენ ხანში გაირკვევა ვითარება?

— ალბათ ორ-სამ დღეში.

— გია მეგრელაძე რჩება „ტორპედოში“?

— კი. ეგ ამბავი უკვე გადაწყვეტილია.

— კიდევ თუ არის ახალწვეული?

— მეტი არავინ.

— შეკრებაზე სად მიდიხართ?

— არსად. აქვე მოვემზადებით.

— ფინანსური პრობლემების გამო?

— მთლად საუკეთესო მდგომარეობა არაა, მაგრამ იმედი მაქვს, მალე გამოსწორდება.

— და მაინც, „ლოკომოტივის“ იმედი აღარ გაქვთ?

— არა, სხვა გზა უნდა ვეძიოთ.

ძახა შალამბერიძე

ადამია ადამიანურად კმაყოფილია

რევაზ გოცირიძემ ნაპერეულიე ჩელნის „კამაზთან“ რომ კონტრაქტი გააფორმა, ეს უკვე ცნობილია. ახლა, როგორც ჩანს, ამ კლუბს თავის ბედს კიდევ ერთი ექსვიტესორეული გიორგი ადამია დაუკავშირებს. გიორგი ახლა „კამაზის“ ბაზაზე გოცირიძესთან ერთად ცხოვრობს და მომავალი კლუბით კმაყოფილია...

— 30 ივნისს ჩამოვედი, დღეს კი უკვე პირველად ვივარჯიშე. ახლა გუნდი ბაზაზე არ იმყოფება, მაგრამ ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციაზე მყოფ რვა ფეხბურთელთან ვარ და გუნდი რომ დაბრუნდება, ჩემი საკითხიც მერე გადაწყდება, თუმცა საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ყველაფერი თანხმობით დამთავრდება.

— როგორი პირობებია „კამაზში“?

— მშვენიერი, საქართველოს პირობებთან შედარებით კი ძალიან კარგიც. რაც აქ ვნახე და გავიგე, თუ იმის ნახვევარი მაინც გააკეთეს, უმაღლეს ლიგაში ნაღდად გადავლენ.

— გოცირიძეს უახლოეს მატჩებში ხომ არ ათამაშებენ?

— ძალიან უნდათ, თუმცა სატრანსფერო ფურცლის დაგვიანების გამო ხვალინდელ სათასო მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს. ალბათ უახლოესი ტურის მატჩში აუცილებლად ათამაშებენ.

— შენ როგორ მიგიღეს?

— ძალიან კარგად. ვატყობ, გუნდური ატმოსფეროც ადამიანურ ურთიერთობებზე აქვთ აწყობილი.

დავით ერაძე

ზღვა, მალაგა, კარგი ხალხი

ვლადიმერ ბოისა არეული ოლიმპიადან უნიკახას უყურებს

საქართველოს ნაკრები 25 ივნისიდან დიღმის ბაზაზე ვარჯიშობს, მაგრამ ეს არაა სრულფასოვანი შეკრება, რაკი ლეგიონერები ჯერ არ გამოჩენილან. თავიდანვე ითქვა, აქაურებით დავიწყებთ და თანდათან „უცხოელებიც“ შემოგვემატებიანო, მაგრამ... ჩვენც დავუკავშირდით ერთ-ერთ „უცხოელს“, ვლადიმერ ბოისას, რომლისგანაც სხვა ახალი ამბავიც შევიტყვეთ — შესაძლოა, „ოლიმპიას“ კაპიტანმა გუნდი დატოვოს და, როგორც მისი ლაპარაკიდან ჩანს, ესპანეთში წავიდეს. ბოისა ამბობს, მალაგის „უნიკახაზე“ უკეთეს გუნდს ვერც ვინატრებო და ამას იმით ხსნის, რომ მალაგა ზღვისპირა ქალაქია, ამინდი აქაურსა ჰგავს და მისი გუნდიც ევროლიგის მუდმივი სტუმარია...

ბოს ახალგაზრდა ფოტო

— ვოვა, დიღმის ბაზაზე საქართველოს ნაკრების შეკრება მიმდინარეობს, შენ კი ჯერაც სლოვენიაში ხარ...

— სლოვენიაში ვარ და ვისვენებ. ფედერაციის ხელმძღვანელობამ იცის, რომ ჯერ არ ჩამოვდივარ, გადატვირთული სეზონის შემდეგ უნდა განვიტვირთო.

— მერედა სლოვენიაში ისვენებ?! შარშან ხომ ბაჰამის კუნძულებზე იყავი...

— ბაჰამის კუნძულები კი კარგია, მაგრამ ახლა იქ წასასვლელად არ მცალია — ბავშვი მყავს და იმ სიშორეზე როგორ წავიდე?! აქამდე ერთი კვირა ადრიატიკის ზღვაზე ვისვენებდი ოჯახთან ერთად, ჩემი და-ძმაც აქ იყო. ისინი უკვე რუსთავში წამოვიდნენ, მე კი ჯერაც ლიუბლიანაში ვარ.

— როდის გელოდოთ დიღმის ბაზაზე?

— 8 ივლისს მანდ ვიქნები. ისე, ერთი ბოისა უკვე ნაკრებშია, ჩემი ძმა ანატოლი არ დამელოდა, გუშინ წამოვიდა, ნაკრებში უნდა ვივარჯიშოო.

— ოჯახსაც ჩამოიყვან?

— არა, რა აზრი აქვს, სულ თბილისში ვიქნები ნაკრების ვარჯიშზე და სახლში საჯდომად ჩამოვიყვანო მეულლე და ბავშვი?! საქართველოში 10 დღე დავრჩები, 18 ივლისს ხომ ნაკრები იტალიაში მიდის, ჰოდა, იტალიიდან ისევ ლიუბლიანაში დავბრუნდები.

— „ოლიმპიაში“ რა ამბებია, სპონსორები გეურჩებოდნენ...

— სიტუაცია ჯერაც არ გამოსწორებულა, ორი-სამი სპონსორი ისევ გაქცევაზეა და ალბათ წავლენ კიდეც.

— რატომ მირბიან, რა არ აკმაყოფილებთ?

— გუნდის მწვრთნელების უკარ მესმის. „ოლიმპიამ“ წლეულს მაქსიმუმს მიაღწია, ჩემპიონობა დაიბრუნა და ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზეც გავიდა, სპონსორები კი მაინც ცხვირაბზუებულები არიან, უნდა წავიდეთო.

— თუ ეგ სპონსორები წავიდნენ, „ოლიმპია“ მთლად უფულოდ დარჩება?

— არა, ჩვენი მთავარი სპონსორი „უნიონი“ კი რჩება, მაგრამ სხვებიც მნიშვნელოვნად ავსებდნენ გუნდის ბიუჯეტს და თუ წავლენ, დიდი პრობლემები შეგვექმნება. ისე, პრობლემები ახლაც თავზე საყრელია, ოთხი თვის ხელფასი არ აგვიღია.

— თუ ვითარება არ გამოსწორდა?

— წავალ. გუნდი არც ერთ ვარიანტში არ დაიშლება, მაგრამ თუ ხელფასები არ იქნება, „ოლიმპიაში“ არ გავჩერდები. ახლა ვითარება უკვე კრიტიკულ ზღვარზეა, თუ მალე არ გაირკვა ყველაფერი, სეზონის წინ კლუბს უკვე ექვსი თვის დავალიანება ექნება მოთამაშეებთან.

— ექვსი თვის ხელფასი საკმაოდ სოლიდური თანხაა — თუ გუნდს დატოვებ, ვალიც გაბათ

მაშობ, ყველა კარგად მიცნობს და მსურველიც გამომჩნდება.

— მაინცდამაინც ევროლიგის გუნდს უმეზობ?

— ეს, ევროლიგაში ბინდა ვითამაშო, თუ სხვა გუნდზე დავთანხმდები, მხოლოდ სოლიდური ხელფასის გამო. მთლად არხეინადაც არ ვარ, ჩემი მენეჯერი გაფრთხილებული მყავს, შესაძლოა, „ოლიმპიადან“ წავიდე და ერთი კარგი გუნდი ჩემთვის შეგულებული გყავდეს-მეთქი.

— მსურველები ახლა არ გყავს? ადრე „მაკაბის“ უნდოდი...

— არა, კონკრეტულად არავინ დამლაპარაკებია, ისე კი, ვილაცის თვალთახედვის არეში ალბათ ვიქნები, ყველამ იცის, „ოლიმპიას“ რომ ფინანსური პრობლემები აქვს და მოთამაშეებსაც ალბათ უკვე გვითვალთვალებენ.

— თუ წასვლაა, სად წახვიდოდი?

— ესპანეთში.

— რატომ მაინცდამაინც ესპანეთი?

— მომწონს ეს ქვეყანა, მისი კლუბები და განსაკუთრებით მალაგის „უნიკახა“.

— რაღა „უნიკახა“, რომელიც ბოლო სეზონში გვარიანად შერცხვა ევროლიგაში, ესპანეთში ბევრად ძლიერი კლუბებია...

— მე „უნიკახა“ მომწონს, ბოლოდროინდელი ჩავარდნა კი იმის ბრალია, რომ სულ ზანგები იყიდეს. ახლა ალბათ გაუშვებენ ზანგებს და ევროპელებისკენაც გამოიხედავენ. „უნიკახაში“ კარგი ხელფასებია და თან მალაგა ძალიან მაგარი ქალაქია. ზღვისპირასაა, კარგი კლიმატი და კარგი ხალხია, სამხრეთული მენტალიტეტის, ჯიგრები არიან. მალაგაში ცხოვრება და თამაში ჩემი ოცნებაა.

ირაკლი პერტაია

ცქიტიშვილი ტელევიზორში და არა იტალიაში

მარან დოლიძაგზელის ფოტო

იმედი ჯი გვქონდა, რომ იტალიურ შეკრებაზე ეროვნულ გუნდში სამივე „ოკეანგალმელი“ მოიყრიდა თავს, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ამბავი დენვერელი ნიკოლოზ ცქიტიშვილის გარეშე ჩაივლის

„დენვერ ნაგიტსი“ მალე საზაფხულო სამზადისში ჩაებმება და 13-დან 23 ივლისამდე ლას ვეგასისა და სოლტ ლეიკ სიტის კემპებში მიიღებს მონაწილეობას. 11 დღეში „დენვერი“ 9 მატჩს გამართავს ნბა-ს სხვადასხვა გუნდთან და აქედან ექვსი „ნბა-ტივის“ არხით გადაიცემა.

თამაშები თამაშებად, მაგრამ ხომ შეიძლებოდა, უკვე ორწლიანი გამოცდილების მქონე ქართველი ფორვარდი დენვერელებს ნაკრებში გამოეშვათ?! ცხადია, შეიძლებოდა, მაგრამ ეს ალბათ არ მოხდება, რაკი „ნბა-ტივიმ“ „დენვერის“ თამაშები ცქიტიშვილის ხათრითაც იყიდა, რომელსაც გულშემატკივრები კარგად იცნობენ.

„წლევანდელი დრაფტის პირველ რაუნდში არჩევნის უფლება „დენვერს“ გაყიდული ჰქონდა, ასე რომ, ისეთი ცნობილი ახალწვეული არ ჰყავს, გულშემატკივარი ტელევიზორთან მიიზიდოს. ყველაზე ცნობილი სახე „დენვერში“ მესამე წელია, იქ მყოფი ნიკოლოზ ცქიტიშვილია, რომლის საყურებლადაც არაერთი ქომაგი მიუჯდება ტელევიზორს. გუნდის მწვრთნელმა ჯეფ ბზდელიკმა თქვა კიდეც, ცქიტიშვილი დაცემამდე უნდა ვათამაშო ამ თერთმეტ მატჩშიო.“ — წერს დენვერული „როკი მაუნთინი“.

ასე რომ, ცქიტიშვილის იტალიურ შეკრებაზე ჩამოსვლა, ფაქტობრივად, გამორიცხა, გუნდგამოცვლილ ზაზა ფაჩულიას კი გუშინ ელოდნენ „მილუოკიში“ და როგორც ახალწვეულს, მასაც საზაფხულო ლიგებში უპირებენ გამოცდას.

ვლადიმერ სტეფანია კი ნაღდად ჩადის იტალიაში და თან ნაკრების ამერიკელი კანდიდატი, სავარაუდოდ, შემონდ უილიამსი მიჰყავს.

ირაკლი პერტაია



რობერტ სარვერი

იყიდა კაცმა ფინიქსი 6 ეს 6 401 მილიონია

ფული თუ გაქვს, ქვეყანა შენია. სან დიეგოს საბანკო ქსელის მფლობელ რობერტ სარვერს კი იმდენი აქვს, მთელი საკალათბურთო გუნდი ერთ კვირას ვერ დაითვლის. ჰოდა, ადგა სარვერი, 401 მილიონი დოლარი გინდაც არ მქონიაო და „ფინიქს სანზი“ იყიდა.

თუმც „ფინიქს სანზს“ ჰყავდა ისეთი მფლობელებიც, რომლებმაც თავიანთი წილის გაყიდვაზე უარი თქვეს და შედეგად სარვერი მთლიანობაში გუნდის ერთ მესამედს ფლობს. დანარჩენი წილი უპყრია ბიზნესმენთა ჯგუფს, რომლის სათავეშიც ყოფილი მობურთალი სტივ კერი და თავად „ფინიქსის“ პრეზიდენტი ბრაიან კოლანჯელო დგანან.

„ფინიქსში“ წილი ჰქონდათ ასევე ყოფილ კალათბურთელებს — „სანზის“ ლეგენდას ჩარლზ ბარკლის და შონ ელიოტს, რომლებმაც ყველაფერი სარვერს გადაულოცეს.

შედეგად, „ფინიქსი“ სამ ვეშაპს დარჩა — სარვერს, კერს და კოლანჯელოს. ეს კოლანჯელო ცნობილი მულტიმილიონერის ჯერი კოლანჯელოს შვილია, ვისაც 1987 წელს 44,5 მილიონად შეუძენია „ფინიქსი“ და შემდეგ საქმეში სტივ კერიც შემოუშვია.

ამერიკელი ჟურნალისტები იტყობინებიან, რომ სარვერის წილის ფასმა შესაძლოა 415 მილიონამდე აიწიოსო, რაც ამ მილიარდერ ბიძას ნაღდად არ დააზარალებს. ის ხომ თავში ნახსენები სანდიეგოური საბანკო ქსელის გარდა დასავლეთის საბანკო ალიანსისა და კომპანია „სამხრეთელ გადამხდელთა პარტნიორობის“ უსტაბაშთაგანიცაა. და კიდევ, 42 წლის სარვერს უძრავი ქონების უდიდესი კომპანია აქვს სან დიეგოში.

ირაკლი პერტაია

ოლიმპიურ ლიცენზიათა სრული პაკეტის მფლობელი საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ორი დღის წინ ბაკურიანული შეკრებიდან დაბრუნდა. წინასაოლიმპიადო გეგმაში ორი ბორჯომული შეკრებაც შედის, რომელთაც შვიდეული 9 ივლისიდან დაიწყებს. მანამდე კი თბილისში, ვაკის დარბაზში ივარჯიშებს. ბიჭების დღევანდელ ფორმასა და მოსამზადებელი ეტაპის განვლილ ნაწილზე სასაუბროდ მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელს შევეხმიანეთ

კარგია გრილი ბორჯომი

ჩვენი ათენი ძიუდოთი იწყება

— როგორ ჩაიარა ბაკურიანულმა შეკრებამ?

— ზუსტად ისე, როგორც გვინდოდა. ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის და ბიჭების ამჟამინდელი ფორმაც სრულიად მაკმაყოფილებს.

— შვიდივე ლიცენზიანმა სრული დატვირთვით ივარჯიშა?

— ყველა სრულყოფილად მოემზადა. ზვიადაურს კი გაუცდა ტრავმის გამო ცოტა, მაგრამ უკვე საერთო რეჟიმში ჩადგა და დარჩენილ ორმოც დღეში ჩვეულ ფორმაში ჩადგომა არ უნდა გაუჭირდეს.

— როგორც ვიცით, ბაკურიანში ძირითადად ფიზიკურად მოამზადეთ გუნდი.

— დარჩენილ შეკრებებთან შედარებით ბაკურიანული ამ მხრივ მართლაც გამორჩეული იყო, მაგრამ იქ ლეიბიც ჩავიტანეთ და თითო წონაში ოთხ-ოთხი კაციც ჩავიყვანეთ.

— სპარინგებს ბორჯომშიც იახლებთ?

— აუცილებლად. შეიძლება უფრო მეტსაც, რათა ბიჭებმა სრულყოფილად ივარჯიშონ.

— დარჩენილი შეკრებები რამდენხნიანი იქნება?

— ორკვირიანი. პირველს 9 ივლისს დავიწყებთ, შუალედში კი 2-3 დღით თბილისში დავბრუნდებით.

— ათენში როდის მიემგზავრებით?

— ჩვენ შეჯიბრში ერთ-ერთი პირველები ვერთვებით. გახსნიდან მეორე დღეს უკვე ხერგიანი ჭიდაობს. ამიტომ პირველივე ნაკადს გავყვებით 12 აგვისტოს.

— თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა ბოლო ბორჯომული შეკრებები ზღვისპირეთით შეცვალეს. თქვენც ხომ არ ფიქრობთ?

— არა. გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებთ. ოლიმპიადამდე დარჩენილი დღეების მაქსიმალურად გამოყენებას ბორჯომში შევეცდებით.

ოთარ მაღლაკელიძე

პირველის უკანასკნელი

კაცი თოვლივით გაქრა

ოდესელი მთამსვლელი ვიაჩესლავ ტერზიული გახდა პირველი მთამსვლელი დსთ-დან, რომელმაც დედამიწის თოთხმეტივე რვაათასიანი მწვერვალი დალაშქრა. ამ მწვერვალთაგან იგი ბოლოს რამდენიმე დღის წინ მაკალუზე (8463 მ.) ავიდა, მაგრამ დაშვებისას უგზოუკვლოდ დაიკარგა. ბოლოს იგი დალუპულად გამოაცხადეს, თუმცა მისი ცხედარი ვერ უპოვიათ და შესაძლოა, ვეღარც მიაგნონ. იმის შანსი, რომ იგი სასწაულებრივად გადარჩა, თეორიულადაც კი აღარ არსებობს.

შეგახსენებთ, რომ პირველი ადამიანი, რომელმაც თოთხმეტივე რვაათასიანი დალაშქრა, იტალიელი რაინჰოლდ მესნერია. მან ეს 1970 წლიდან დაიწყო და 1986-ში დაასრულა, როცა 42 წლის იყო. მეტიც, მესნერმა ამ პერიოდში 16-ჯერ და შემდგომ კიდევ რამდენჯერმე დალაშქრა რვაათასიანები, როცა განმეორებითი ასვლები განახორციელა.

მესნერს მოჰყვა პოლონელი ირჟი კუკუჩკა, რომელმაც 1979-1987 წლებში დალაშქრა გოლიათები. მაშინ იგი 41 წლისა იყო. მას მოჰყვა შვეიცარიელი ეჰარდტ ლორეტანი, რომელიც 1982-1995 წლებში აგროვებდა „კოლექციას".

ჯერ კიდევ ამ წლინახევრის წინათ, როცა მსოფლიოში სულ 10 კაცი იყო ნამყოფი თოთხმეტივე რვაათასიანზე, ვიაჩესლავ ტერზიული ჯერ ჰორიზონტზეც არ ჩანდა. ყოველ შემთხვევაშიც ორ კაცს თოთხმეტივე რვაათასიანზე ასასვლელად თითო, ოთხს კი ორ-ორი ნაბიჯი აკლდა. მათ მოჰყვებოდა სამ-სამი ნაბიჯით დაშორებული ხუთი და ოთხ-ოთხი ნაბიჯით დაცილებული ცხრა კაცი.

ავთანდილ ჭყვიშელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

FIRA-AER-მა აურია

საგაისო რუსეთი შემოდგომაზე გადმოგვიტანეს

სამხრეთაფრიკულ „ბლუ ბულზთან" ახლახან ჩატარებული ტესტ-მატჩის შემდეგ საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ოფიციალური საერთაშორისო შეხვედრა წლევანდელ გეგმაში აღარ ჰქონდა, მაგრამ ევრორაგბის ბოსების მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ყველაფერი შეცვალა. FIRA-AER-მა ამასწინანდელ კონგრესზე სამომავალწლო ერთა თასის გათამაშების ამ შემოდგომაზე დაწყების იდეა წამოაყენა

კონგრესს ერთა თასის მონაწილე ქვეყნების რაგბის თავკაცებთან ერთად მერაბ ანთაძეც ესწრებოდა და წინადადებაზე კონკრეტული პასუხის გაცემამდე კოლეგათა დარად ცოტა დრო ითხოვა. თბილისში დაბრუნებულმა რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ნაკრების გარშემო მოტრიალე ხალხთან იმსჯელა და სიახლეს მხარი ყველამ დაუჭირა. როგორც შევიტყვეთ, წინააღმდეგნი არც სხვა ქვეყნები ყოფილან.

უკვე შედგენილია ახალი კალენდარიც და არა გვგონია, მასში რაიმე შეიცვალოს, თუმცა დეტალურ სიზუსტეზე ლაპარაკი ჯერ მაინც შეუძლებელია. რაგბის კავშირის გენერალურმა მდივანმა სოსო მაისურაძემაც ამჯერად შედარებით ზოგადი კომენტარი გვაკმარა

— ეს სიახლე საბოლოოდ დამტკიცებული არაა, მაგრამ, მგონი, ბეჭედი დაესმება. როგორც ვიცი, წინააღმდეგი არც სხვა ქვეყნები ყოფილან.

— თუ საიდუმლო არაა, რატომ დასთანხმდით ცვლილებას?

— ერთ-ერთი მთავარი მიზეზი რუსეთში თებერვალში თამაში იყო. ახლებური კალენდრით ეს მატჩი ნოემბერშია გადმოტანილი, რაც შედარებით უკეთესია. სხვათა შორის, შეხვედრის საშემოდგომოდ გადმოწევა პირველებმა თავად რუსებმა ითხოვეს.

— ჩეხებთან თამაშის ივნისამდე ლოდინი რაღაში გვარგებს?

— ჩეხეთი იმ დონის გუნდი არ არის, მძიმე ბრძოლა გაგვიმართოს. რუმინეთი ან პორტუგალია რომ ყოფილიყო, სერიოზულად დავფიქრდებოდით და შეიძლება უარიც გვეთქვა, მაგრამ ივნისის თამაშამდე გათამაშების ცხრილში ალბათ უკვე ყველაფერი გარკვეული იქნება.

— ახალი კალენდარი ახალ პრობლემასაც აჩენს: ნოემბრამდე საერთაშორისო შეხვედრის ჩატარებაც აუცილებელია.

— ბუნებრივია, ივნისისთვის დაგეგმილი სამხრეთაფრიკული შეკრება მშვენიერი მოსამზადებელი ციკლი იყო ერთა თასის ძველი კალენდრისთვის, მაგრამ იგი ახლაც დიდად წაგვადგება რუმინეთთან და პორტუგალიასთან შეხვედრებისთვის. რაც შეეხება წინასარუსეთო სამზადისს, მასზე ახლო მომავალში ვიმსჯელებთ.

— შეიძლება რუსეთში ახალშეკრებილი ნაკრებითაც მოგვიწიოს ჩასვლამ?

— გადაწყვეტილებას მალე მივიღებთ. რიგიანი საკონტროლო მატჩის ჩატარება და შეკრების მოწყობა ჩვენს ინტერესებშიცაა და ვეცდებით, საუკეთესო არჩევანი გავაკეთოთ...

ვიდრე სანაკრებო კომიტეტი შეიკრიბება და დეტალებზე იმსჯელებს, შეგახსენებთ, რომ მომავალი ერთა თასი მსოფლიოს 2007 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის პირველ ეტაპადაც მიიჩნევა და ორწლიან მარათონში პირველ-მეორე ადგილებზე გასული ნაკრებები საფრანგეთის საგზურს, ფაქტობრივად, ავტომატურად გაინაღდებენ.

ოთარ მაღლაკელიძე

2005 წლის ერთა თასის კალენდარი

20 ნოემბერი. 2004
რუსეთი — საქართველო

26 თებერვალი
საქართველო — უკრაინა

12 მარტი
საქართველო — რუმინეთი

19 მარტი
პორტუგალია — საქართველო

11 ივნისი
ჩეხეთი — საქართველო

რუსეთ — საქართველოს ჯახი გაისად უნდა ყოფილიყო, მაგრამ წლეულსვე იქნება

უიმბლდონი 2004

ლონდონი. ბალახი. საპრიზო 9 707 280 გირვანქა სტერლინგი

ფორსროჯერული გარემოება
ვინ გააჩერებს სტიქიას?

კაცები
მეოთხედფინალი

როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ლეიტონ ჰიუიტი (7, ავსტრალია) 6:1, 6:7 (1:7), 6:0, 6:4; ენდი როდიკი (2, აშშ) — სხენგ შალკენი (12, ჰოლანდია) 7:6 (7:4), 7:6 (11:9), 6:3; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — ტიმ ჰენმანი (5, ბრიტანეთი) 7:6 (7:5), 6:4, 6:2; სებასტიან გროჟანი (10, საფრანგეთი) — ფლორიან მაიერი (გერმანია) 7:5, 6:4, 6:2



REUTERS ლონდონიდან

როჯერ ფედერერი



მარიო ანჩიჩი

გამოცდილი სებასტიან გროჟანისა და დებიუტანტ ფლორიან მაიერის იმთავითვე ბედგადაწყვეტილ შეხვედრას თუ არ ჩავთვლით, დანარჩენმა მეოთხედფინალებმა დია ბარაქინან ჩოგნაობაში ჩაიარა. ამათგან ყველაზე თვალსაჩინო და შთამბეჭდავი ამქრის ამჟამინდელ პირველოსან როჯერ ფედერერისა და პირველოსანყოფილ ლეიტონ ჰიუიტის შეხლა გამოდგა.

ვისაც ეს მატჩი არ უნახავს, ძალიან ვთხოვთ, ანგარიში ნუ მოატყუებს — მიუხედავად ორი სეტის პირწმინდად წაგებისა, ლეიტონ ჰიუიტი მეტოქეს ძალზედ შეუჭვრად ეომა და გადამწყვეტ მომენტებში მეტი სიბასრე რომ გამოეჩინა, ეგებ ყველაფერი სხვაგვარადაც დასრულებულიყო.

თუმცა ისტორია კავშირებით კილოში არ იწერება და ჰიუიტის კისკას, აქა-იქ ძველებურად მოცეცხლავე ბურთაობას გვერდით თუ გადავდებთ, უწინარესად მაინც ისევ ფედერერის დამთრგუნველად სრულყოფილ, შეშხარავად ამოუწურავ თამაშზე უნდა ვილაპარაკოთ.

როგორც კი ლეიტონი ოფლითა და ტანაჯორისებრი გარჯით მოპოვებულ უმცირეს შანსსაც კი ვერ გამოიყენებდა, ფედერერი მის წილ კორტს უმალ ზავივით მოასკდებოდა ხოლმე და მძლავრი, რაგინდარა ყაიდის მახვილი დარტყმებით აოხრებდა. სწორედ ასე მოხდა პირველ და მესამე სეტებში, რომელთა საწყის გეიმებშიც უაღრესად თანაბარი ჩახა-ჩუხი მიდიოდა, მაგრამ მერე ოზბიჭი ან ბრეიკპოინტს ვერ გამოიყენებდა, ანაც თავის მოწოდებაზე ბითურად წაფორხილდებოდა და ისეთ სასიკვდილო დარტყმას იღებდა, რისი მოყენებაც მხოლოდ ბრმა, ყოვლისწამლეკავ სტიქიას ანაც ამ სტიქიის დამაურვებელ ჯადოქარს ძალუძს.

მეორე სეტსა და მეოთხის მეცხრე გეიმამდე კი ჰიუიტი თავისი წილი კორტის ერთ გოჯსაც არ თმობდა და იმასაც ახერხებდა, მეტოქეს გაღმაც გადავებოდა — სხვა თუ არაფერი, მას ტურნირზე პირველი სეტიც გააგდებინა და მოწოდებაც პირველმა გაუტეხა.

მეოთხე სეტის მეცხრე გეიმში კი ჰიუიტი ისევ წამით მოდუნდა და გამანადგურებელ პასუხს არც ამჯერად დაჰგვიანებია.

მატჩის მსვლელობისას შარშანდელმა ჩემპიონმა სულ 19 ეისი მოაქუჩა და ერთ გეიმში, როცა ეს ყველაზე საჭირო იყო, ლეიტონს სულაც ოთხი აუღებელი მოწოდება გადაუჭირა.

„ძმაო, რაც შემეძლო, ყველაფერი გავაკეთე — იძახდა მერე ავსტრალიელი — მაგრამ მას იმხელა თავდაჯერება აქვს, აზრზე არა ვარ, როგორ უნდა დაჯაბნო. ჰალალად გეტყვით და, წარმოდგენა არა მაქვს, ვის შეეძლება მისი გაჩერება. ასე რომ, კვირის ბოლოს მას უკვე მესამე სლემტიტული ექნება — თანაც უკვე ორი ერთ სეზონში."

„როცა სლემტურნირზე, განსაკუთრებით კი უიმბლდონზე აგებ, ყოველთვის საწყენია. მსოფლიოს საუკეთესო მეჩოგნესთან თამაშისას ერთადერთი შანსი გაქვს, ერთი შანსიც არ უნდა გააფუჭო. დღეს კი მე ამის გაკეთება ვერ მოვახერხე. მეოთხე სეტში ბრეიკპოინტებიც მქონდა და საერთოდაც, ცუდად სულაც არ მითამაშია, მაგრამ მერე მან ისევ აკრიფა და... აზრზე მოსვლაც ვერ მოვასწარი, უკვე გასახდელში ვიყავი. არადა, გეიმის გატეხვა რომ მომეხერხებინა და 5:3 დავწინაურებულიყავი, მეხუთე სეტში ყველაფერი იქნებ სხვანაირადაც ყოფილიყო. ჰო, სულაც არ ვფიქრობ, რომ დღეს მისი დამარცხება არ შემეძლო, მაგრამ საკადრისი მასაც უნდა მივაგოთ — საამმომენტოდ ის მსოფლიოში მართლაც შეუცილებელია."

თავის მხრივ ფედერერი ნამატჩევს ძლეულ მეტოქეს აქებდა და ამბობდა, რომ მან მართლაც საუცხოოდ ითამაშა: „მასთან ბურთაობისას ყოველთვის მიკვირს, თუ როგორ ახერხებს ხოლმე თვით ყველაზე აუღებელი ბურთის მოგერიებასაც. ეს ძალიან მძიმე მატჩი იყო და პირველ და მესამე სეტებშიც მხოლოდ იმან მიშველა, რომ ორივეჯერ უმალვე წინ გავიჭერი. რაც შეეხება მეორე სეტს, აქ იმან დამაღალატა, რომ უკვე 1:1-ზე წვიმის გამო მატჩის შეწყვეტა მოგვიხდა, ხოლო კორტზე დაბრუნებულს პირველი სეტიდან აკრეფილი სიჩქარე უკვე განელებული მქონდა. საერთოდ კი ვფიქრობ, რომ მაღალი დონის ჩოგბურთი ვაჩვენეთ და მხოლოდ ის მენანება, რომ ეს მეოთხედფინალში მოხდა და არა მოგვიანებით."

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ამ მოგების შემდეგ ფედერერმა ჰიუიტთან აქამდე არსებული საპირადბალანსო დეფიციტი უკვე 5:8-მდე შეამცირა.

იმასაც დავძენთ, რომ წლეულს ეს მათი მესამე შეხლა იყო და მესამის მსგავსად წინა ორშიც შვეიცარიელმა იმარჯვა — ერთხელ ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხე წრეში, მერე კი ჰამბურგულ მასტერსობაზეც.

ნახევარფინალში ფედერერი 26 წლის ფრანგ სებასტიან გროჟანს შეხვდება, ვინაც — აკი ზევითაც მოგახსენეთ — ტურნირის ახალბედა გერმანელ ფლორიან მაიერს ჩაურბინა და თავის ზედიზედ მეორე საუიმბლდონო ნახევარფინალში მოხვდა. შეგახსენებთ, რომ შარშან ფინალში გასვლა გროჟანს მარკ ფილიპუსისმა არ დაანება.

მეორე ნახევარფინალში კი ერთმანეთს 21 წლის ენდი როდიკი და მასზე წლით უმცროსი ხორვატი მარიო ანჩიჩი შეეხლებიან. როდიკისთვის ეს მორიგი მძიმე გამოცდა იქნება — მორიგს იმიტომ ვამბობ, რომ მან სხენგ შალკენთანაც კაცურად იბრძოლა და შედარებით იოლად მხოლოდ მესამე სეტი ერგო, როცა რომ ორ ტაიბრეიკზე გალახულ ჰოლანდიელს უკვე გაძალიანების ხალისი აღარ შერჩენოდა.

კორტის დონიდან მეტრისა და 96 სანტიმეტრის ამთვლელ ხორვატს, ვინაც თავის მხრივ იმ დღეს მასპინძელთა ვაგლახ-იმედი ტიმ ჰენმანი გააბუნძურა, როდიკი ამ ორიოდ კვირის წინ, სტელაარტუობაზეც ეთამაშა და გაჭირვებით, 7:6, 4:6, 6:4 მოუგო. ჰალალად თუ ვიტყვი, ეგეც მაგრად გამიმართლაო, ამბობს ენდიბოი და თავადაც ღონიერ სანახევარფინალო გლადიატორს მოელის.

გორან ივანიშევიჩის ალიკვალ „სუპერ მარიოს", რომელსაც სახელოვან თვისტომთან მსგავსების გამო აქამდე „ბეიბი გორანსაც" ეძახდნენ, უიმბლდონობამდე მსოფლიო რეიტინგსიის ოდენ 63-ე საფეხური ეკავა და ჯერ ერთი ქეციანი ტიტულიც არ მოურეწავს. მაგრამ ამას მისთვის ჩოგანი არ შეუშლია, ორ საათზე ცოტა მეტ დროში თავად 29 წლის ჰენმანის იმედებიც დაემსხვრია და სრულიად ბრიტანეთისაც, რომელიც უიმბლდონის კაც გამარჯვებულს უკვე 69 წელია, ამოდ ელის.

2001 წლის ჩემპიონ გორანს კი ანჩიჩი მართლაც ყველაფრით ჰგავს — სპლიტელობითაც, სიმაღლითაც და ყუმბარისებრი მოწოდებითაც. ოღონდ მასზე გაცილებით უფრო მშვიდი და გაწონასწორებულია და ეს თვისება მას კიდევ უფრო სახიფათო ძალად აქცევს.

ვფიქრობ, რომ დღეს ყველაფერს ვაკონტროლებდიო, ამბობდა ის ჰენმანთან მოგებული მატჩის შემდეგ და, ჰაი-ჰაი, რომ არც გაემტყუნებოდა.

ყველაზე შთამბეჭდავი კი ამ მატჩში მაინც მისი მეორე მოწოდება გამოდგა, რაიც ხშირად ისევე მომაკვდინებელი იყო, როგორც პირველი და რასაც ამქრის უსწრაფესად მომწოდებელი ენდი როდიკიც სხვებივით უნდა ერიდოს.

ლევან კელაურაძე

ქალები
მეოთხედფინალი

სერენა უილიამსი (1, აშშ) — ჯენიფერ კაპრიატი (7, აშშ) 6:1, 6:1;
ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) — პაოლა სუარესი (9, არგენტინა) 6:0, 5:7, 6:1

ვისაც ეგონა, ჯენიფერ კაპრიატი როლანგაროსობის მეოთხედფინალის დარად სერენა უილიამსის შემუსვრას ლონდონურ სეფეკოინდარზეც შეძლებდა, ვერ მიერთვა. სერენამ ზღაპრულად იჩოგნავა და თვისტომ-რაყიფს სულ რაღაც 45 წუთში გადაუარა. ეს მათი მე-16 შეხლა იყო და ვინუსის უმცროსმა დაიკომ უკვე მე-9 გამარჯვება მიითვალა. ასე კარგად მგონი შარშანდელი უიმბლდონობის შემდეგ აღარ მითამაშიაო, იძახდა ის მერე და ამას სხვებთან ერთად ჩვენც სიამოვნებით დავადასტურებთ. ისე კი გეტყვით, რომ თუკი სერენა უიმბლდონს წლეულსაც მოიგებს, შტეფი გრაფის შემდეგ პირველი ქალი გახდება, ამის გაკეთება ზედიზედ სამჯერ რომ გამოუვიდა. დიადმა გერმანელმა ეს 1991-93 წლებში შეიძლო.

ნახევარფინალში სერენას ამელი მორესმო შეხვდება, ვინაც იმ დღეს უმძაფრეს ბრძოლაში გაბზარა არგენტინელი პაოლა სუარესი, როლანგაროსობის წლევანდელი ნახევარფინალისტი. შარშანდელ უიმბლდონობაზე ტრავმის გამო ვერნათამაშები ამელი იქაურ ნახევარფინალში სერენას 2002 წელსაც რკენია და — ეგებ თქვენც გახსოვდეთ — 2:6, 1:6 დამარცხებულა. ვარაუდობენ, რომ ამქრის ბუა ახლაც იოლად მოიგებს, მაგრამ მორესმოს ქომაგებს ეიმედებათ, რომ მათი 24 წლის ჯილა თავის დანავსულ სლემპოპეას ახლა მაინც დაატიტულიანებს.

გუშინ
ნახევარფინალი

სერენა უილიამსი (1, აშშ) — ამელი მორესმო (4, საფრანგეთი) 6:7 (4:7), 7:5, 6:4;
მარია შარაპოვა (13, რუსეთი) — ლინდსი დევენპორტი (5, აშშ) 2:6, 7:6 (7:5), 6:1

მა-რია-რია!
შარაპოვა უცებ მოიფიქრა

REUTERS ლონდონიდან

და ვის ეგონა შარაპოვა მარტო ლამაზი?! 17 წლისა უიმბლდონის ფინალშია!

ᲡᲐᲓ ᲛᲘᲒᲝᲠᲐᲕ, ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲝ?!

კაცი სამთო ბაიკერობას რომ გადაწყვეტ, უნდა იცოდე, რომ მთის კენწეროდან ძირში ორბორბალა მეგობრით ყოველთვის ვერ ჩაალწევ. სწორედ ასე დაემართა კრის ფორდს (№24) და ლუკ მილინგტონიც დააგორა. ეს ამბავი ახალ ზელანდიაში მოხდა, კორონეტ პიკის ფერდობზე.

REUTERS კორონეტ პიკიდან

REUTERS დურბანიდან

ᲐᲥᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲔᲜ

ყოფილ მოკრიკეტეს, აწ კი მშობლიური ავსტრალიის სახელოვან მოკრიკეტეთათვის ხოტბის შესხმისთვის მოწოდებულ ტელეწამყვან იან ჰილის, ტაფელათი წავარჯიშება მოუწადინებია. ცნობილი კაცია და სწორედ ამ დროს შეაწუხა ჯიბეში ტელეფონმა.



REUTERS ჩიხინიდან

ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘᲡ ᲓᲠᲐᲛᲐᲖᲔ

ბრიტანელი მსახიობი ჯუდ ლაუ და მისი გელფრენდი სიენა მილერი უიმბლდონის ცენტრალურ კორტზე ტიმ ჰენმანის საქომაგოდ მივიდნენ და რა ნახეს? ნაქებმა ბრიტმა ხორვატ მარიო ანჩიჩთან წააგო.

REUTERS ლონდონიდან

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲙᲐᲛᲑᲝᲯᲐ

კამბოჯელი მოცურავეები, კეტ სივანი და ჰემ კირი ოლიმპიადისთვის ემზადებიან. ისინი მედალს ნაღდად ვერ მოიგებენ, მაგრამ აქ სხვა ამბავია. რაც კამბოჯას დიქტატორი პოლ ამიტი, მერე კი კომუნისტი ვიეტნამელები სწოვდნენ სისხლს, ეს ქვეყანა საერთაშორისო იზოლაციაში იყო და ოლიმპიურ ოჯახში დაბრუნება კამბოჯელ ხალხს სიამაყით უვსებს გულს.

REUTERS ბანგკოკიდან

ᲤᲘᲜᲐᲚᲐᲛᲓᲔ ᲬᲐᲘᲙᲘᲐᲤᲐ

ლიბერტადორესის თასის ფინალის წინ „ონსე კალდასის“ ფეხბურთელი ელვინ სოტო ბილიარდით იქცევდა თავს და თუ რით გამოიჩინა მან თავი „ბოკასთან“ გადამწყვეტ მატჩში, ხვალინდელ „სარბიელში“ აუცილებლად შეგატყობინებთ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ

ᲕᲔᲘᲙᲐᲣᲡᲚᲘᲒᲐ. XI ᲢᲣᲠᲘ

ᲚᲐᲰᲢᲘ 1:0 ᲘᲐᲠᲝ

ᲰᲘᲙ 3:0 ᲰᲐᲐᲛᲔᲜᲚᲘᲜᲐ

ᲛᲘᲣᲰᲐ 0:4 ᲰᲐᲙᲐ

ᲢᲰ-47 3:0 ᲠᲝᲕᲐᲜᲘᲔᲛᲘ

ᲢᲣᲠᲙᲣ 1:2 ᲯᲐᲖᲐ

ᲨᲕᲔᲓᲔᲗᲘ

ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ. XIII ᲢᲣᲠᲘ

ᲒᲝᲓᲔᲜᲡᲘ 1:1 ᲙᲐᲤᲔ ᲝᲞᲔᲠᲐ

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, ᲞᲐᲠᲐᲡ�კᲔᲕᲡ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲤᲝᲪᲮᲕᲔᲠᲘᲐ
ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲝᲥᲠᲝᲛᲭᲔᲓᲚᲘᲫᲔ
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲖ ᲛᲘᲒᲠᲘᲐᲣᲚᲘ
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲒᲣᲑᲔᲚᲐᲫᲔ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲤᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲠᲔᲠᲢᲘᲝᲠᲔᲑᲘ: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
ᲡᲢᲘᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
ᲙᲝᲛᲞᲘᲣᲢᲔᲠᲣᲚᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ხურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ 42, II ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ, IV ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ.
ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ — 79, ᲡᲐᲤᲝᲡᲢᲝ ᲧᲣᲗᲘ 208. ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ: 39 48 29
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ sarbieli@gol.ge
ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ http://www.sarbieli.com.ge